ახალი საქართველო

2009 წელი, 9 - 15 აპრილი

ფასი 90 თეთრი

№13 (447) გამოდის 1998 წლიდან

9 აპრილი

1989-2009

. . . ოქერითა ხანგრძლივი დრო მიგცეთ საუბარსო-სათვის, ხილო აცოდეთ კი, რომ „დრო ხანგრძლივია მისთვის, ვინც კარგად ახმარობს, ვინც ითვლება, ახ-რიგინობს და ბეგენრობს, იგი დროთა საზღვარს შორს წასაგაჭს ხედავ“.

ოქერითა გაგაძლიერით, ხილო აცოდეთ კი, რომ „ადამიანი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა მეფანია და წინათლებულია“.

ოქერითა დადი კაცობა მიგცეთ, ხილო აცოდეთ კი, რომ „ვინც კარგად ექსახურება თავის საშობლო ქვე-ყანას, იგი უდადკაცობდაც დადა“.

ოქერითა გაგაბეგანიერით, ხილო აცოდეთ კი, რომ თუ გნებავთ ბეგანიერი იყვეთ, „უნდა ერთის ხელით უმანკოებას ბშვეფდეთ და მეორით სერდეთ ავკაცო-ბასა“.

ოქერითა წყენა გაშორით, ხილო აცოდეთ კი, რომ

„სხვისა წყენისა დაკლებით
თქვენისა განბქარდებიან“.

ოქერითა ყოველი საქმე კარგად წაგძარითი, ხილო აცოდეთ კი, რომ საქმეს კარგად წარმართავს მარცხი ჭკვანი წელი და წელიანი ჭკვა.

ოქერითა ყოველი ბრუნვრება აგაკალით, ხილო აცოდეთ კი, რომ „უკეთესი წაძალი ბრუნვრებისა იგია, როცა სხვას ბრუნვრებისაგან დაიხსნით“.

ოქერითა უბედურებისაგან გიხსნათ, ხილო აცოდეთ კი, რომ „ვისაც თავის დღეში არაფან გოუუბედურებია, ამას ძალი უნდა ბქონდეს, რომ თვითონაც თავის დღეში უბედური არ იქნება“.

ოქერითა ამდაენა უნარი მიგცეთ, რომ თქვენს ძალ-ონეს დაენდით, სხვის ძალზედ არ იყვნეთ, ამაცმა რომ „იგი ჭკვიანი არ არის, ვინც არ იცის თავს როგორ უშველოს“.

ოქერითა გაბრძოლი გამცოცით, ხილო აცოდეთ, რომ „თუ გნებავთ სამრთველი შეიძრწეს თქვენს სულსა და ხორცსა, გულის ნებას და ძალას გაძლიერეფდე ნუ მიიყვანთ“.

ოქერითა მიგცეთ სიყვარული ამრთლისა და აცოდეთ, რომ „თუ ბორიტი ხართ, შეგეძულებენ, თუ კეთილი ხართ, ზოგჯერ მოგაყენებენ და თუ ძართლის მიყვარე ხართ, თაყვანსა გცემენ“.

ოქერითა სიბრძნე და სათნოება მიგანიჭოთ და აცო-დეთ, რომ „სიტყვიერი, ნიჭიერება, ჭკუა და სხვა ყოველიე სკვდება, გარდა სიბრძნისა და სათნოებისა“.

ოქერითა უქალაქესს ღირსებაძე მიგანწეთ, ხილო აცოდეთ კი, რომ „ყველაზედ უფიერი ნაშანი უქალაქესის ღირსებისა შეურის არქონაა“.

ოქერითა ნუ მიგაკლოთ პატიოსნება და აცოდეთ, რომ „ვაქაცს გმირს ძარტი ამის უნარი აქვს, დდ-ბუნებასს ყოველთერისა, ხილო ერთიცა და ეორეც ვერ აფრინეს ერთად, რასაც ერთი ბაფლოსანი კაცი ფრინს“.

ოქერითა ამ ბეფლანგავი გქონს, არც ბუნწი და აცოდე, რომ „ვინაცა ბეფლანგავს, იგი თავის ქეკვდ-რესა ბბარავს, ვინაცა ბბ-უნწობს, იგი ბბარავს თავის თავსა“.

ოქერითა გიხსნათ სალარბბისაგან, ხილო აცოდეთ კი, რომ „კაცი ბაშინ არის ღარბბი, როცა სურველი სჭარბობს ღონესა და როცა წადილი ეკმი აქვს ქონ-ბაზედ“.

ოქერითა ღონე მიგცეთ და გაგაძლიერით, ხილო აცოდეთ კი, რომ „ღონე ამისთვის მოუნიჭეთა ჩვენთ-ვის ოქერის, რომ ჩვენი ქონება შეეინახოთ და არა ამისათვის, რომ სხვისა დაეიჩქოთ და დაეისაკუთრით“.

ოქერითა ბევრი თუალი მიგცეთ, ხილო აცოდეთ კი, რომ „თუალი ბაფლინდ ძალიან ცუდი ბაფლინია და მი-საშიახურეფდ კი ეფლად კარგი მოსაშიახურეა. არც კი ეს დაეიწყოთ, რომ „ყოველთვის, როცა კაცს ბუნჩენ-ფლებით მორთულსა ბხვდავთ, აცოდეთ, რომ მის �ახ-ლობლად სხვა კაცი ძიბრშია გახვეული“.

ოქერითა მაგარი ხასიათი მიგცეთ და აცოდეთ, რომ „ჭკვიანი კაცი კი ძალე წახდება, თუ ჭკუასთან ერთად სამაგრე ხასიათისა არა აქვს, ვისაც დიდენის თვარანი აქვს, ამას მისი ფაკარგენეფც უნდა ბქონდეს“.

ოქერითა შეფდიბა და მოსვენება მიგცეთ, ხილო აცოდეთ, რომ „ყველაზედ ტკბილი მოსვენება იგია, რომელიც შრომით არის ნასყიდი“.

ოქერითა ერთმანეთის ძმობა, ერთობა მიგაძალოთ და აცოდეთ, რომ „დიდად ძალოვანი კაციც კი უღონოა, თუ მოძმენი მხარს არ მისცემენ“. არც ეს დაეიწყოთ, რომ „როცა ჭკვიანები და ბაფლოსნები ერთად მოქმე-დიბენ, ბაშინ სულელნი და თვალდნი უღონონი არიან“.

ოქერითა გაძრავლოთ და გადაეგრძელოთ შეფლები, ხილო აცოდეთ კი, რომ

სგლობს ყოლა უწერთის ძალოსა
უწერთელის შეფლის ყოლასა.

დასასრულს გისურვებთ, ოქერითა თქვენის ქვეყნის სიყვარული გაგაძლიერით და აცოდეთ, რომ „რაც უნდა ბაფლარა იყოს საშობლო ქვეყანა, ბაფლოსანს გულში მაინც ყველაზედ დადი ადგილი უჭირავს“.

ამინ და კირიელეისონ!..

სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმ „აია“-„GESS“-სა და ლონდონის წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის (SGI) ერთობლივი პროექტები

დეგულება

კონკურსი – „საუკეთესო მთარგმნელი“

კონკურსის არსი: კონკურსი შედგება ორი, დაუსწრებელი და დასწრებული ტურისაგან. დაუსწრებელ ტურში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ესპანური, რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოებები (მოთხრობა, ესსე, ლექსი, ზღაპარი, ნოველა, ნარკვევი). შეიძლება პირიქითაც – საკონკურსოდ შემოტანილ იქნეს ქართული ენიდან რუსულ, ესპანურ და ინგლისურ ენებზე ორიგინალიდან თარგმნილი თხზულებები. პირველ ტურში გამარჯვებული ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ დასწრებულ ტურში, სადაც, ლექსიკონის დახმარებით, შესასრულებელი ექნებათ მცირე ზომის ნაწარმოების თარგმანი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ VIII–XI კლასის მოსწავლეებს.

კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი – თარგმანები უნდა წარმოადგინოთ სკოლა-ლიცეუმ „GESS“-ში (გურამიშვილის გამზირი №17; V სართული, უცხო ენების კათედრა. კათედრის გამგე **თამარ უსანეთაშვილი**, კონკურსის მდივანი **ლია ხამხაძე**), არა უგვიანეს 7 მაისისა. დაუსწრებელი ტურის გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება მოხდება სკოლა-ლიცეუმში „აია“ – „GESS“.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომი უნდა იყოს ნაბეჭდი (A4 ზომის თაბახის ფურცელზე) და უნდა ჩაბარდეს კომისიას ორიგინალის ქსეროასლთან ერთად.

კონკურსში გამარჯვებული ნაშრომების ავტორებს გადაეცემათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები კონკურსის დასკვნით საზეიმო დახურვაზე. დასწრებული ტურის პრიზიორები რუსულ, ესპანურ და ინგლისურ სექციებში, გაიგზავნებიან საზღვარგარეთ – შესაბამისად რუსეთის, ესპანეთის და ბრიტანეთის ენის შესასწავლ საერთაშორისო ცენტრებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმს „აია“ – „GESS“
თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17, V სართული;
იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის) ქუჩა №10.
ტელეფონი: 61 30 62, მობ. 893 28 90 25; 899 70 75 32
საკონტაქტო პირი – ნონა ბოლქვაძე, ლია ხამხაძე.

დეგულება

კონკურსი – „Be The Best“

კონკურსის არსი: კონკურსი შედგება ორი ტურისაგან. I ტური მოიცავს გრამატიკულ და ლექსიკურ ტესტებს (ტესტები შედგენილია ინგლისელი პარტნიორების მიერ), II ტური კი შედგება ვიდეოჩვენებისაგან და შემოწმდება მონაწილეთა აუდირება. კონკურსი ჩატარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში – V-VI და VII-VIII კლასელთათვის. **კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით, ლონდონის საერთაშორისო სკოლის სერტიფიკატით. I ადგილზე გასული კონკურსანტი გაიგზავნება ლონდონის საერთაშორისო სკოლაში სასწავლებლად.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ სკოლა-ლიცეუმ „აია“– „GESS“-ში (გურამიშვილის გამზირი №17; V სართული, ინგლისური ენის მიმართულება. მიმართულების ხელმძღვანელი **ეკა ზეიკიძე**), არა უგვიანეს 17 მაისისა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
სერვანტესის სახელობის
სკოლა-ლიცეუმს „აია“ – „GESS“
თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17, V სართული;
იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის) ქუჩა №10.
ტელეფონი: 61 30 62, მობ. 893 28 90 25;
899 43 58 28; 899 73 08 59
საკონტაქტო პირი – ეკა ზეიკიძე, ლია ხამხაძე,
თამარ უსანეთაშვილი.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის

განახლდა ნორჩ ეკოლოგთა საერთაშორისო ტურნირი (ნეტ-ი). ტურნირის მიზანია მხარი დაუჭიროს პროექტს – განათლება მდგრადი განვითარებისათვის.

ნორჩ ეკოლოგთა ტურნირი არის გუნდური შეჯიბრი, რომელიც მიზნად ისახავს, გამოავლინოს მოსწავლეთა უნარი გადაჭრან რთული ეკოლოგიური პრობლემები შესაბამისი ფორმით, გამოხატონ თავიანთი აზრი და შეძლონ ამ აზრის დაცვა მეცნიერული დისკუსიის (ეკოპაექრობის) დროს. ყოველი გუნდი შედგება 5-7 უფროსკლასელისაგან, რომელთა ასაკი არ აღემატება 18 წელს. გუნდს ჰყავს კაპიტანი (ლიდერი), რომელიც არის გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი ეკოპაექრობის დროს. გუნდს ხელმძღვანელობს ერთი ან ორი მასწავლებელი (ფასილიტატორი).

შესარჩევი ტურნირი ჩატარდება 20-25 ივნისამდე

კონკურსის განმხორციელებელი ორგანიზაციებია:
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი,
სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმი „აია“ – „GESS“

ტურნირის ჩატარების წესი, დებულება და ამოცანები
იხილეთ ვებგვერდზე www. aia-gess.com

გთხოვთ, განაცხადი გამოაგზავნოთ ელექტრონულ
მისამართზე info@aia-gess.com 20 მაისამდე
იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის) ქუჩა №10
ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონებზე:
61-30-62; 30-82-27; 899 70 75 32; 893 21 53 44.

დეგულება

ჟურნალის „წიგნი და სამყარო“ და სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმ „აია“ – „GESS“-ის ერთობლივი პროექტი

ლიტერატურული კონკურსი „წიგნი და სამყარო“

კონკურსი **„წიგნი და სამყარო“** რესპუბლიკური ლიტერატურული კონკურსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კერძო და საჯარო სკოლების VII-XII კლასელებს.

კონკურსი შედგება დაუსწრებელი ტურისა და ფინალისგან. დაუსწრებელ ტურში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ან ელფოსტით გამოაგზავნონ ლიტერატურული ნაწარმოები (ლექსი, მოთხრობა, ჩანახატი, ნოველა...). ნაბეჭდი მასალა არ უნდა აღემატებოდეს თაბახის სამ გვერდს. ჟურნალ „წიგნი და სამყაროს“ რედკოლეგიის მიერ საუკეთესოდ შეფასებული ნაწარმოები დაიბეჭდება ჟურნალში. ავტორი კი მიწვეულ იქნება ფინალში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ჩატარდება 2009 წლის ივნისის მიწურულს.

ფინალში კონკურსანტებმა წინასწარ შერჩეულ თემაზე უნდა დაწერონ მცირე ზომის ლიტერატურული ნაწარმოები, რის შემდეგაც ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს.

პირველ ადგილზე გასული კონკურსანტი წიგნის გამავრცელებელი კომპანია **„წიგნის სამყაროსგან“** დასაჩუქრდება პერსონალური კომპიუტერით.

მეორე ადგილზე გასულ კონკურსანტს დააასაჩუქრებს **„საბავშვო ენციკლოპედია“**, **„რა არის რა“**-ს ხელმოწერით.

მესამე ადგილის მფლობელს კი გამომცემლობა **„ელფი“** სამახსოვრო წიგნებს გადასცემს.

გარდა ამისა, ფინალში გამოვლინდებიან საუკეთესო ავტორები პროზასა და პოეზიაში, მათ საინტერესო წიგნებით დაასაჩუქრებს გამომცემლობა **„საქართველოს მაცნე“**.

დაუსწრებელ ტურსა და ფინალში მონაწილე ყველა კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს და ერთწლიან ფასდაკლებას წიგნებზე კომპანია **„წიგნის სამყაროსა“** და წიგნის მაღაზიათა ქსელ **„ლიბრასგან“**.

მასალები გამოაგზავნეთ ელფოსტით
press@bookland.ge; nona.aia@rambler.ru
ან მოგვმართეთ მისამართზე:
გურამიშვილის 15, II სართული;
იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის)
ქუჩა №10
ჟურნალ „წიგნი და სამყაროს“ რედაქცია.
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
18 41 21; 891 22 93 78; 899 70 75 32.

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ნიკა გვარამიას, განათლების აკრედიტაციის ცენტრის დირექტორს, ქალბატონ ნინო ჩუბინიძეს

მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით პროფკავშირი მიიჩნევს, რომ პროგრამების ექსპერტიზა და აკრედიტაცია მიმდინარეობს ზერელად, ხარისხის უზრუნველყოფის გარეშე, რადგან არ ხდება სასწავლო მასალების გამართულობისა და ტრენერების კვალიფიკაციის შემოწმება. ამასთანავე, ექსპერტიზისთვის განკუთვნილი ინდიკატორები, ფაქტობრივად, მხოლოდ დოკუმენტაციის არსებობის შემოწმებას ავალებს ექსპერტებს, ხოლო ექსპერტების სპეციალობა და კვალიფიკაცია, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამება შესამოწმებელი პროგრამების სპეციფიკას. **ამიტომ პროფკავშირი მოითხოვს:**

1. დადგინდეს ტრენერთათვის ის აუცილებელი თვისებრივი კრიტერიუმები (სპეციალობა, ცოდნა, გამოცდილება, სამეცნიერო ხარისხი, სკოლაში მუშაობის სტაჟი და სხვ.), რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ტრენერი დასაშვებია მოემსახუროს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებს.

2. შემოწმდეს ყველა პროგრამის ტრენერთა კომპეტენტურობა ჩასატარებელი კურსების თემატიკაში მათი ტესტირებით.

3. ექსპერტებს დაევალოთ, შეამოწმონ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო მასალების ხარისხი (შესაბამისობა პროგრამის თემატიკასთან და მიზნებთან, გამართულობა შეცდომების არარსებობის მხრივ, თანამედროვე ინფორმაციის არსებობა, მისაწვდომობა მასწავლებლებისთვის, ორიენტაცია სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტების შესრულებაზე და სხვ.).

4. ექსპერტებისთვისაც დადგინდეს შერჩევის თვისებრივი კრიტერიუმები, ჩატარდეს ექსპერტთა შერჩევა ამ კრიტერიუმების შესაბამისად და საექსპერტო ვიზიტამდე მოხდეს მათი მომზადება ისე, რომ მათ შეძლონ სასწავლო მასალებისა და ტრენერების ხარისხის შემოწმება.

5. შეიცვალოს პროგრამების აკრედიტაციის მეორე და მესამე კრიტერიუმების (ხარისხის უზრუნველყოფა და რესურსები) ინდიკატორები ისე, რომ ნაცვლად ცხადი ინფორმაციის წყაროების არსებობის დადასტურებისა, მათ წარმოაჩინონ ხარისხის უზრუნველყოფისა და რესურსების სასურველი თვისებრივი მახასიათებლები.

პროფკავშირი ასევე მიიჩნევს, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად მასწავლებელთა კურსების დაფინანსების შეზღუდვა ერთ კრედიტზე 40 ლარის ოდენობით და სულ 4 კრედიტის ფარგლებში (ანუ ჯამურად 160 ლარის ოდენობით), საიდანაც მხოლოდ 2 კრედიტია გათვალისწინებული საგნისა და მისი სწავლების მეთოდიკისთვის, გაუმართლებელია როგორც მასწავლებელთა მომზადების ხარისხის, ასევე ტრენინგ-პროვაიდერების მიერ ჩატარებული კურსების რენტაბელობის თვალსაზრისით. ხანგრძლივი, თითქმის 16-წლიანი, შეფერხების გამო მასწავლებელთა სისტემატური პროფესიული განვითარების კურსებით უზრუნველყოფის საქმეში და რადიკალური ცვლილებების გამო საგნობრივ პროგრამებსა და სწავლების მეთოდიკურ მიდგომებში, მასწავლებლები საჭიროებენ უფრო ხანგრძლივი და ფუნდამენტური კურსების გავლას, რასაც ესაჭიროება, საშუალოდ, 4-5 კრედიტიანი პროგრამები თითოეული გამოცდისთვის მოსამზადებლად.

პროფკავშირის აზრით, 2009 წელს მხოლოდ მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენის მასწავლებლების უზრუნველყოფა სრულიად არასაკმარისი დაფინანსებითა და კრედიტ-პროგრამებით მიუღებელია იმის გამოც, რომ ილახება სხვა საგნების მასწავლებლების ინტერესები. **ამიტომ პროფკავშირი მოითხოვს:**

1. გაიზარდოს დაფინანსებული კრედიტების რაოდენობა 5-მდე მაინც, ხოლო ერთი კრედიტის დაფინანსება – არანაკლებ 60 ლარამდე.

2. მასწავლებელი თავისუფალი იყოს კრედიტების გადანაწილებაში პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და საგნობრივ პროგრამებს შორის და საკუთარი შეხედულებისამებრ, საჭიროების მიხედვით, განაგოს მისთვის განკუთვნილი თანხები საგამოცდო საგნებზე გადანაწილების თვალსაზრისით.

3. თანხები გაიცეს ყველა საგნის მასწავლებელზე, ვინც გადაწყვეტს გამოცდაზე გასვლას და მოისურვებს მოსამზადებელი კურსების გავლას.

4. მსურველთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ანუ თანხების უკმარისობის პირობებში, უპირატესობა მიენიჭოს მათ, ვინც პირველმა გამოთქვა სურვილი.

წინასწარ გიხდით მადლობას
ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის.
პატივისცემით, ***მანანა ღურჭუმელიძე***
სპმთპ-ის პრეზიდენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხი პოლიტიკური სპეკულირების თემა გახდა

სამინისტროსთან „ერთიანი სტუდენტური ალიანსის“ მიერ პერიოდულად გამართული საპროტესტო აქციები არ ასახავს სტუდენტთა რეალურ ინტერესებს. მიუხედავად სამინისტროს მხრიდან „ერთიანი სტუდენტური ალიანსის“ წევრებთან არაერთი შეხვედრისა და განმარტებისა, წევრები აგრძელებენ საკითხის პოლიტიზირებას და დეზინფორმაციის გავრცელებას.

მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულია ამ აქციებზე სრულიად არარეალური და არაადეკვატურია. ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომელიც სტუდენტებთან ერთად მუდმივად ჩნდება ამ აქციებზე, არავითარ კავშირში არაა რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და ამასთან, მათთვის უცხო არაა პოლიტიკური ქვეტექსტის მქონე პროვოკაციული ქმედებები.

შესაბამისად, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს აქციები არ ისახავს მიზნად რეალური პრობლემის გადაჭრას და ატარებს არა სტუდენტურ, არამედ მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს.

სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს კიდევ ერთხელ გააკეთოს განმარტება უმაღლესი განათლების დაფინანსებაში ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ:

2009 წელს: უმაღლესი განათლების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, წინა წელთან შედარებით, 2,5-ჯერ გაიზარდა (6,5 მილიონი ლარიდან 15 მილიონი ლარამდე);

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში 103 ფაკულტეტზე შენარჩუნებულია ძველი ღირებულება და სწავლების ღირებულება არ აღემატება 1 500 ლარს; იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც გაზარდეს სწავლის საფასური, ახალი გადასახადი არ შეხებიათ უკვე ჩარიცხულ სტუდენტებს;

2008 წელს უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული 15 500 სტუდენტიდან სახელმწიფომ (სრულად ან ნაწილობრივ) დააფინანსა 8 200 სტუდენტი;

სოციალური გრანტის ფარგლებში დაფინანსდა: 600-მდე სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტი; საზღვარგარეთ მცხოვრები 87 ქართველი სტუდენტი; აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული 600 ბაკალავრი და 160 მაგისტრანტი; სამინისტროს მიერ იგეგმება კიდევ 450 ბაკალავრისა და 120 მაგისტრანტის დაფინანსება;

დაახლოებით 2 000 წარჩინებული სტუდენტი სტიპენდიას იღებს;

წელს პირველად სახელმწიფო დააფინანსებს მაგისტრანტების კონტიგენტის 1/4-ს რაზეც ბიუჯეტში 2 მლნ. ლარია გათვალისწინებული

ამგვარად, სტუდენტთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გადასახადს, აღნიშნული სუბიექტები, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თავად განსაზღვრავენ თავიანთ ფინანსურ პოლიტიკას – როგორც სწავლის საფასურს, ასევე პროფესორ-მასწავლებლების ხელფასების ოდენობას.

შპს „ტექსერვისცენტრი“

კომპიუტერული, საოფისე და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სერვისი

სასწავლო დაწესებულებებისთვის ფასდაკლება 20%, ადგილზე მომსახურება, უფასო დიაგნოსტიკა

- კარტრიჯების აღდგენა.
- პრინტერების შეკეთება.
- კოპიერების შეკეთება.
- ქსელის მონტაჟი.
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა.
- ნოუთბუქების შეკეთება.
- ვებ დიზაინი.
- ტელეფონების (რადიო ტელეფონი, მობილური, ფაქსი) შეკეთება.
- სისტემური ტელეფონის მონტაჟი-პროგრამირება-შეკეთება.
- უწყვეტი კვების ბლოკების და ადაპტერების შეკეთება.
- მონიტორების შეკეთება.
- ტელევიზორის შეკეთება.
- ტელევიზორის ქსელის მონტაჟი.
- მუსიკალური ცენტრების შეკეთება.
- სარეცხი მანქანის შეკეთება.
- გაზის და ელექტროქურების შეკეთება.
- მაცივრების შეკეთება.
- კონდინციონერების შეკეთება.
- სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება.
- დამაფონის მონტაჟი-შეკეთება.
- დაცვითი და სისტემების პროექტირება-მონტაჟი-შეკეთება.
- სანტექნიკის მონტაჟი-შეკეთება.
- გათბობის სისტემის მონტაჟი შეკეთება.
- დაბალი დენების ქსელის დაპროექტება-მონტაჟი.
- საწარმოს ხაზის მონტაჟი.
- სხვადასხვა ფორმატის კასეტების ინფორმაციის ჩაწერა-გადაწერა.

ალ. ყაზბეგის გამზ. №1. ტელ: 371-471, 37-41-14
ელ-ფოსტა: tsc@caucasus.net servise@tsc.ge

www.tsc.ge

შპს „ტექსერვისცენტრი“

„ვწერ თავისუფალ თემას“

კონკურსი პარტნიორი სკოლების ეგიდით

6 აპრილს, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის (დირექტორი **გია მურღულია**) ინიციატივით, უკვე მეოთხედ, გაიმართა კონკურსი „ვწერ თავისუფალ თემას“. წელს პირველად, კონკურსი პარტნიორი სკოლების ეგიდით მოეწყო და მასში მონაწილეობა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა, X-XII კლასების 300-მდე მოსწავლემ მიიღო – საქართველოს რეგიონების და დედაქალაქის სკოლებიდან.

თავისუფალი თემის დასაწერად მოსწავლეებს 10 სათაური შესთავაზეს სხვადასხვა ჰუმანიტარული სფეროებიდან – ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ხელოვნებიდან, ფილოსოფიიდან და ა.შ.

კონკურსში მონაწილე მოსწავლეებს ასარჩევად დაურიგდათ თემების სათაურები, მცირეოდენი განმარტებებით: წარმოგიდგენთ საქართველოს; ბიბლიის კითხვისას; მერვე დღე; თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა; რატომ არის „ვეფხისტყაოსანი“ შედევრი?; საქციელის ესთეტიკა; სამყარო ღიმილში; სულის ცა – რას ნიშნავს, იყო ინტელიგენტი; იგავთა ვარიაციები (შეთავაზებული ოთხი იგავიდან სავალდებულოა ორის შესახებ მსჯელობა, შესაძლებელია – სამზე ან ოთხივეზე); ლექსის სული (კონკურსანტებს შესთავაზეს VIII-IX საუკუნის ჩინელი პოეტის ბო ძიუ-ის ლექსი (მათ უნდა გამოეხატათ ის შთაბეჭდილებები და განწყობა, რაც დაეუფლებათ ლექსის გაცნობისას).

გია მურღულია: *„ეს არის მცდელობა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ დაინახოს, შეაფასოს და დააფასოს ის ბავშვები, რომლებიც ჰუმანიტარული განხრით მართლაც განსაკუთრებით ნიჭიერები არიან. კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია მთელი საქართველოს მასშტაბით. მას ძალიან კარგი პარტნიორები ჰყავს, რომლებმაც სოლიდური პრიზებიც დააწესეს. დღეს აქვე მოვისმინეთ და ძალიან საინტერესო იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – ნიკა გვარამიას განცხადება, 20-30 საუკეთესო მოსწავლის ლეპტოპებით დაჯილდოების შესახებ. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი სტიმული იქნება მოსწავლეებისათვის. ისინი თანდათან მიეჩვევიან იმ აზრს, რომ საკუთარი ცოდნით შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას, გამარჯვებას და აღიარებას. ასეთ გამოხმაურებას ნამდვილად ველოდი, ტრადიციისამებრ ქართული სული მიდრეკილია ჰუმანიტარიისაკენ და მოსწავლეებიც კარგად გამოხატავენ საკუთარ თავს ამ სფეროში. კონკურსის გამარჯვებულებს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს, ზოგადი კრიტერიუმები ასეთია: ერუდიცია, ორიგინალური აზროვნება, გამოხატვის და წერის კულტურა, ხედვის მოულოდნელი რაკურსი, ხედვის მასშტაბურობა, ლიტერატურული გემოვნება – აზრისა და ფრაზის დახვეწილობა, ლოგიკა, სახეობრიობა. ჩვენ, ყველანი ერთად, ვნახავთ, ჰუმანიტარული აზროვნების როგორი დონეა დღეს საქართველოში.“*

კონკურსის მიმდინარეობას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია დაესწრო. მან მონაწილეებს წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი საინტერესო ნამუშევრებს შექმნიდნენ. მადლობა გადაუხადა კონკურსის ორგანიზატორებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს. მინისტრმა მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივაც გააცნო.

ნიკა გვარამია: *„მივესალმები ამგვარი ღონისძიების ჩატარებას. კონკურსი პარტნიორი სკოლების ეგიდით ტარდება, რომელსაც ბატონი გია მურღულია ხელმძღვანელობს, მასში უკვე ძალიან ბევრი სკოლაა გაერთიანებული. აქ შეიკრიბნენ მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, რომლებიც გამორჩეული ჰუმანიტარული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. წარმოდგენილი თემები ძალიან საინტერესოა. იმედი მაქვს, ასევე საინტერესო ნაწერებს მივიღებთ და გამოვლინდება ათი გამარჯვებული. მინდა მადლობა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს და პარტნიორ ორგანიზაციებს. ასევე, გაცნობებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივას, რომ მინიმუმ 30-მდე საუკეთესო თხზულების ავტორი პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდება.“*

თამარ ნამგლაძე, თბილისის 53-ე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე: *„მინდა ჩემი თავი გამოვცადო ამ კონკურსში, გამოცდილება მაქვს, ერთხელ გარკვეულ წარმატებასაც მივაღწიე. რაც უფრო მეტი კონკურსი გაიმართება, მით უფრო კარგი იქნება.“*

თათია ნანეიშვილი, XI კლასის მოსწავლე, ხობის რაიონი: *„ჩვენს რაიონში მივიღე მონაწილეობა მსგავს კონკურსში, დავწერე თავისუფალი თემა „ჩვენთან არს უფალი“ და პირველი ადგილი დავიკავე. ვეცდები, აქაც გარკვეულ წარმატებას მივაღწიო.“*

გვანცა კალანდაძე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: *„განწყობა მაღალი მაქვს, მინდა გამოვავლინო ჩემი თავი და დავწერო იმის მაქსიმუმი, რაც შემიძლია. ქართული ლიტერატურის მასწავლებლის – დალი კალანდაძის დამსახურებით ჩემი ყოველი დღე სკოლაში უდიდესი გამოცდილებაა. მინდა თავისუფალი თემა პოეზიიდან ან ქართული ლიტერატურიდან დავწერო.“*

თამუნა მინაშვილი, გორის რაიონი სოფელ სვენეთის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: *„ძალიან კარგია, რომ ასეთი სახის კონკურსები ტარდება. მოსწავლეს საშუალება აქვს, შემოქმედებითი ნიჭი გამოავლინოს. ხშირად მიმიღია ამგვარ კონკურსებში მონაწილეობა. ზოგჯერ ვერ ვიმარჯვებ, მაგრამ გამოცდილებას ვიძენ. “*

თეკლა ესართია, სენაკის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„მინდა გამოვცადო ჩემი თავი, მივიღო გამოცდილება, ვწერ ჩანახატებს. ვაპირებ ლიტერატურიდან ავირჩიო თემა. ვნახოთ, რა გამომივა.“*

მაგდა მაისურაძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწვლე: *„კონკურსებში ხშირად ვმონაწილეობ, გასულ წელს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ კონკურსში პირველი ხარისხის დიპლომი დავიმსახურე. მომხრე ვარ ამგვარი კონკურსების, ამით შესაძლებლობა გვეძლევა, გამოვხატოთ საკუთარი აზრი. ვწერ ლექსებს, ვაპირებ ჩემი ლექსების კრებული გამოვცე.“*

ანი ივანიშვილი, საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ძალიან მიყვარს თავისუფალი თემების წერა, ოლიმპიადაშიც მიმიღია მონაწილეობა, შემოთავაზებული თემები საინტერესოა და არჩევანის გაკეთება ცოტა მიჭირს, ჯერჯერობით, ორი თემა შევარჩიე, აქედან ერთ-ერთს დავწერ. ალბათ, უფრო „ვეფხისტყაოსნისკენ“ გადავიხრები.“*

ნინო თორია, ზუგდიდის რაიონის კოკის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე: *„ბავშვობიდან ვწერ ლექსებს და მოთხრობებს. მომწონს ამგვარი კონკურსები, ვიღებ გამოცდილებას. თემა უკვე შევარჩიე – თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა? ვნახოთ, რა გამომივა.“*

10 გამარჯვებულს მწერლების, ლიტერატორების, პედაგოგებისა და ჟურნალისტებისგან დაკომპლექტებული კომპეტენტური ჟიური გამოავლენს. ჟიურის შემადგენლობაში არიან: **გია მურღულია** (ჟიურის თავმჯდომარე), **ეკა ქორიძე, ქეთევან ჭელიძე, მანანა შამილიშვილი, მირანდა ტყეშელაშვილი, ნინო ნაკუდაშვილი, მარიკა ჩიქოვანი, ნათია ნაცვლიშვილი, ნათია ჩხენკელი, ელენე წერეთელი, ვახტანგ როდონაია, იზა ლაკირბაია, მაია მიქაძე, თეონა ლომაძე, თინა ფიფია, ნინო რამიშვილი, ხათუნა ბაღათურია, ოლიკო ნაფარეიშვილი, ცისმარ მუნჯიშვილი, დაჩი გრძელიშვილი, ლაშა ბუღაძე, ლელა წიქარიშვილი, მიშა ანთაძე, ლალი დათაშვილი.**

I ადგილზე გასული მოსწავლე ერთი წლის განმავლობაში გამომცემლობა „ტრიასისგან“ 200-ლარიან სტიპენდიას მიიღებს. II საპრიზო ადგილის მფლობელი სასწავლო ცენტრ „რუსული სახლისაგან“ 100-ლარიანი სტიპენდიით დაჯილდოვდება. დანარჩენი მოსწავლეები პრიზებს კონკურსის სხვა პარტნიორი ორგანიზაციებისაგან მიიღებენ.

კონკურსის შედეგებს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. ჟიურის მიერ საუკეთესოდ მიჩნეული თხზულებები, გამომცემლობა „ტრიასის“ მხარდაჭერით, კრებულად გამოიცემა.

თამუნა ჭანტურია

პედაგოგთა მოთხოვნებს მორგებული ცვლილებები

ბოლო წლებია, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმები, სწავლა-სწავლების მიმართულებით, ძირეულ ცვლილებებს სთავაზობს სკოლებს. ამ სიახლეებმა პედაგოგიურ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია – გამოიკვეთა საკითხები, რომელთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა. ბუნებრივია, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი გულისყურით ეკიდება პედაგოგთა მოსაზრებებს და, აქედან გამომდინარე, იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს. რა სიახლეებს ველოდებით მომავალი სასწავლო წლიდან და რა გახდა ცვლილებების მიზეზი, ამის შესახებ გვესაუბრება ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია.

– რა ძირეულ ცვლილებებს გეგმავთ მომავალი სასწავლო წლისთვის?

– ეროვნულ სასწავლო გეგმაში ორი ძირითადი ცვლილება იქნება. ერთი – საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებული. სკოლა ვალდებული გახდება, მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა დასწრებასა და გაცდენებს. შესაბამისად, დაწესდება მაქსიმალური ზღვარი საპატიო თუ არასაპატიო გაცდენებისა. თუ მოსწავლეს არასაპატიო გაცდენა განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი ექნება, ვალდებული გახდება, კონკრეტულ საგანში ექსტერნის წესით ჩააბაროს გამოცდა. ასევე, დამრიგებლის ფუნქციებში შევა მოსწავლეთა დასწრების გაკონტროლება, სპეციალურად შემოღებულ ჟურნალში აღრიცხვა. თუმცა, ეს არ იქნება ისეთი ჟურნალი, როგორიც აქამდე გვქონდა – ნიშნების შეტანით, არამედ მასწავლებელი ვალდებული იქნება, მხოლოდ მოსწავლეთა გაცდენების აღრიცხვა აწარმოოს. ახლანდელი პროექტით, თუ მოსწავლე კონკრეტულ საგანში სავალდებულო საათების ერთ მეხუთედს გააცდენს, ვალდებული იქნება, ექსტერნად ჩააბაროს (ეს ეხება საპატიო გაცდენებს), თუმცა გარკვეული ზღვარი არასაპატიო გაცდენებზეც დაწესდება, ამ ზღვრის დარღვევის შემთხვევაშიც, მოსწავლე ვალდებული იქნება ექსტერნის წესით ჩააბაროს გამოცდები.

მეორე ცვლილება სწავლების სტრუქტურას ეხება – იცვლება საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი და ესთეტიკური მეცნიერებების სწავლების წესი – უქმდება ტრიმესტრული სწავლება – ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია – და იქნება მთლიანი კურსები. ოთხი წლის განმავლობაში, თითოეული საგნის სწავლება სავალდებულო გახდება, მეთორმეტე კლასში კი მოსწავლეებს არჩევის საშუალება მიეცემათ. ასევე, იცვლება გეოგრაფია-ისტორიის სწავლების სტრუქტურაც, აღარ იქნება ინტეგრირებული სწავლება, მასწავლებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, ცალ-ცალკე საგნებად ასწავლონ ისტორია და გეოგრაფია. სამაგიეროდ, ხელოვნების სწავლება გადადის ტრიმესტრულზე – მეცხრე-მეათე კლასებში სავალდებულო იქნება ერთ ტრიმესტრში ხელოვნების სწავლება, მეორე ტრიმესტრში – მუსიკის და შემდეგ სკოლა ირჩევს, ამ საგნებიდან რომელს დაუთმობს მესამე ტრიმესტრს.

სკოლა ვალდებული გახდება, მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა დასწრებასა და გაცდენებს. შესაბამისად, დაწესდება მაქსიმალური ზღვარი საპატიო თუ არასაპატიო გაცდენებისა.

– რამ გამოიწვია ტრიმესტრული სწავლების გაუქმება?

– ტრიმესტრული სწავლება შეიცვალა იმის გამო, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი აპროტესტებდა ამ ფორმით სწავლებას. რაც უნდა კარგი იყოს შეთავაზებული სისტემა, თუ იმ ადამიანებს (ამ შემთხვევაში, პედაგოგებს), რომლებმაც სიახლე უნდა დანერგონ, არ სურთ ასეთი სახით სწავლება, ბუნებრივია, ხარისხიანად ვერ განახორციელებენ. სწორედ ეს გახდა ტრიმესტრული სწავლების გაუქმების მიზეზი. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ ცვლილებით, შესაძლებელია, რაღაც დავკარგეთ კიდეც.

– რა სახით შეიცვალა სახელმძღვანელოების არჩევისა და გრიფირების წესი?

– სახელმძღვანელოების არჩევა მოხდება ხუთი წლით. წელს შეიცვლება I, IV და VII კლასების სახელმძღვანელოები და სკოლები ამ სახელმძღვანელოებით ხუთი წლის განმავლობაში ისწავლიან. მაგრამ მასწავლებლებს არჩევანის გაკეთება გაცილებით გაუადვილდებათ – თუ აქამდე მხოლოდ სახელმძღვანელოების ჩამონათვალი ჰქონდათ, ახლა ჩამონათვალის გარდა, საშუალება ექნებათ, გაეცნონ ექსპერტების შეფასებებს, რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სახელმძღვანელო დადგენილ კრიტერიუმებს. სახელმძღვანელოები შეფასდება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლების, ასევე, აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც მოწვეულნი არიან უნივერსიტეტებიდან. მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, ამ ექპერტების შეფასების შესაბამისად აირჩიონ სახელმძღვანელოები. ასევე, მათ შევთავაზებთ, ინტერნეტის გვერდზე ნახონ სახელმძღვანელოს ელექტრონული (სანიმუშო მასალა) ან დისკებზე ჩაწერილი ნიმუშები, რომლებიც 1 ივლისადმე დაურიგდებათ. 10 აგვისტომდე კი, ყველა გამომცემლობა ვალდებული იქნება, რესურსცენტრებში მიიტანოს დაბეჭდილი სასიგნალო ეგზემპლარები, რათა მასწავლებლებმა სწავლის დაწყებამდე გააკეთონ უფრო გააზრებული არჩევანი, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

ბუნებრივია, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლებს, ასევე, აკადემიური წრის წარმომადგენლებს მოწვეულნი არიან უნივერსიტეტებიდან.

– როგორ აისახება უკვე გრიფირებულ სახელმძღვანელოებში ეს ცვლილებები და გახდება თუ არა ისევ საჭირო სახელმძღვანელოების შეცვლა?

– სახელმძღვანელოების შეცვლა საჭირო გახდება. ამის გამო მეშვიდე კლასის საბუნებისმეტყველო საგნების სახელმძღვანელოების გრიფირება მომავალ წელს იგეგმება. ასევე, იმატებს საათების რაოდენობა საბუნებისმეტყველო საგნებში, შესაბამისად იზრდება შესასწავლი მასალა. ამიტომ გამოსავალი უნდა მოიძებნოს. მაგალითად, მეშვიდე კლასის ბიოლოგიაში იმდენად იზრდება საათები, რომ მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, ასწავლონ მეშვიდე და მერვე კლასის სახელმძღვანელოებით. იგივეა უფროს კლასებშიც. მასწავლებლებს მუდმივად გავუწევთ დახმარებას, მივაწოდებთ რეკომენდაციებს, თუ რა პროექტები, რა აქტივობები შეიძლება განახორციელონ, ასე რომ, ამისთვის მაინცდამაინც სახელმძღვანელოს ცვლილება არ არის საჭირო, ეს სერიოზული პროცესია და, ბუნებრივია, ერთბაშად ვერ მოხერხდება.

– მეთორმეტე კლასმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ჩვენ მიერ გამოკითხულ მოსწავლეთა 99 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს წელი მათთვის დაკარგულია, ისურვებდნენ, რომ მეთორმეტე კლასი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი წელი ყოფილიყო. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

– მეთორმეტეკლასელთა 99 პროცენტი რომ ამას ითხოვდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ 99 პროცენტი უნდა აბარებდეს უმაღლეს სასწავლებელში. ეს ასე არ არის. აქედან გამომდინარე, ეს წელი დაკარგულად ვერ ჩაითვლება.

– მაშინ შედეგებზე ვისაუბროთ, რა შედეგი მოგვცა მეთორმეტე კლასმა?

– პირველი შედეგი არის ის, რომ სწავლობენ ერთი წელიწადით მეტს.

– იმ შემთხვევაშიც, როცა მეთორმეტეკლასელები სკოლაში არ დადიან?

– მეთორმეტე კლასის შემოღებამდე ამბობდნენ, რომ მეთერთმეტე კლასი იყო უსარგებლო, ათწლიანი სწავლების სისტემის დროს – მეათე... ანუ გამოდის, რომ ბოლო წელი ყველა სისტემის დროს უსარგებლოა? უბრალოდ, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რატომ არ დადიან უფროსკლასელები სკოლაში და არა იმაზე, რომ მათ სწავლების ერთი წელი მოვაკლოთ.

სახელმძღვანელოები შეფასდება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლების, ასევე, აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც მოწვეულნი არიან უნივერსიტეტებიდან.

მეთორმეტე კლასი თუკი მოსამზადებელი იქნება, ე.ი. ეს აღარ იქნება სკოლა. თუმცა, ნომერ პირველი პრობლემა ის კი არ არის, რატომ დადიან ან არ დადიან სკოლაში მოსწავლეები, არამედ ის, რომ, ძირითადად, მოსწავლეები, რომლებიც არ დადიან სკოლაში რეპეტიტორებთან ემზადებიან. ამის მიზეზი თორმეტწლიანი სწავლება არ არის. მიზეზი სხვაა – მათ ჰგონიათ, რეპეტიტორი უკეთ მოამზადებთ გამოცდებისთვის, ვიდრე სკოლა. რატომ ჰგონიათ ასე? ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ სკოლის მასწავლებლები არიან უპირველესად ამით დაინტერესებულნი. აბიტურიენტების უმეტესი ნაწილი (არა თბილისში, უფრო რეგიონებში, რადგან იქ ბევრი მასწავლებელი ფიზიკურად არ არის) მოსამზადებლად იმავე მასწავლებელთან დადის, ვინც სკოლაში ასწავლის. სინამდვილეში, მასწავლებელი კერძო პრაქტიკით შემოსავლის გამოა დაინტერესებული. მეორე მიზეზი რეპეტიტორებთან სიარულისა ის არის, რომ მშობლებს ჰგონიათ, სკოლა მათ შვილებს საკმარის ცოდნას არ აძლევს. რადგან დიდია კონკურენცია, ფიქრობენ, რომ მათი შვილები ვერ ჩააბარებენ, თუ არ მოემზადებიან რეპეტიტორთან, რადგან მათი თანატოლები ემზადებიან. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, რეპეტიტორთან მომზადებულ აბიტურიენტს მეტი შანსი აქვს. როგორ დავძლიოთ ეს შიში? პირველი – უდავოა, რომ ერთმანეთს უნდა დაუახლოვდეს სკოლისა და ეროვნული გამოცდების პროგრამები. მაგრამ მიზეზი მხოლოდ ის არ არის, სკოლის პროგრამა მიჰყვება თუ არა გამოცდების პროგრამას, არამედ ის, თუ რა მოეთხოვება აბიტურიენტს ეროვნულ გამოცდებზე – მხოლოდ მეთორმეტე კლასის პროგრამა თუ VII- XI კლასების. თუ მხოლოდ გასული წლების პროგრამას ვითხოვთ, მაშინ მეთორმეტე კლასში სწავლას აზრი არ აქვს, მოსწავლე მხოლოდ უნდა დაჯდეს და გადაიმეოროს. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდების პროგრამა მხოლოდ მეთორმეტე კლასის პროგრამას დაემთხვევა, მაშინ პრობლემაც ნაკლები იქნება. აბიტურიენტები ისწავლიდნენ მეთორმეტე კლასის პროგრამას და ჩააბარებდნენ.

ხელოვნების სწავლება გადადის ტრიმესტრულზე – მეცხრე-მეათე კლასებში სავალდებულო იქნება ერთ ტრიმესტრში ხელოვნების სწავლება, მეორე ტრიმესტრში – მუსიკის და შემდეგ სკოლა ირჩევს, ამ საგნებიდან რომელს დაუთმობს მესამე ტრიმესტრს.

პრობლემაა, აგრეთვე, ადგილების რაოდენობაც. უნივერსიტეტებში ადგილები გაცილებით მცირეა, ვიდრე იქ მოხვედრის მსურველთა რაოდენობა, თუ ადგილები გაიზრდება, ეს რიცხვიც შემცირდება.

შემდეგია გამოცდების სტრუქტურა. გამოცდების სტრუქტურა ჩვენთან ისეთია, რომ ვერ აკონტროლებ საკუთარ ნიშნებს, ანუ რაც უნდა კარგად ისწავლო სკოლაში, ყოველთვის არის შანსი, რომ ვიღაც შენზე უკეთ ისწავლის სკოლაში ან რეპეტიტორთან. შეიძლება ძალიან კარგად ვიცოდე მათემატიკა, მაგრამ ვიღაცამ – ჩემზე უკეთესად, ასევე ქართული ან უნარები. როგორ უნდა გავიგო, მზად ვარ თუ არა უმაღლესში ჩაბარებისთვის. გარკვეულწილად, გამოცდების სტრუქტურა თავისთავად უბიძგებს აბიტურენტებს, რომ, რაც შეიძლება უკეთ მოემზადონ, რათა შეამცირონ რისკი – სხვამ მეტი იცოდეს. აი, ეს ფაქტორები უბიძგებს აბიტურიენტს რეპეტიტორისკენ, თორემ, შეიძლება სკოლა კარგ ან ძალიან კარგ განათლებასაც აძლევდეს.

იცვლება საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი და ესთეტიკური მეცნიერებების სწავლების წესი – უქმდება ტრიმესტრული სწავლება – ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია – და იქნება მთლიანი კურსები.

ზოგადად, რეპეტიტორებს რაც შეეხება, რეპეტიტორი არაფერს არ ასწავლის ახალს, მხოლოდ ამეორებინებს, ეხმარება იმის გახსენებაში, რაც ისწავლა. ეს დასახელებიდანაც – რეპეტიტორი – ჩანს. რა თქმა უნდა, არიან მოსწავლეები, რომლებსაც არ უსწავლიათ ესა თუ ის საგანი და პირველად რეპეტიტორთან სწავლობენ.

ისინი, ვინც არ დადიან სკოლაში და მხოლოდ რეპეტიტორთან ემზადებიან, გაცილებით ნაკლებ ცოდნას იღებენ. მაგალითად, ავარჯიშებს თუ არა რეპეტიტორი პრეზენტაციის გაკეთებაში? პასუხია – არა, სკოლაში კი ავარჯიშებენ.

ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად სამი გზაა – მასწავლებლების მაღალი ხელფასები, პროგრამების დაახლოება და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ადგილების გაზრდა – ვერ ჩაბარების რისკის შემცირება.

ლალი ჯელაძე

„ირმის ნახტომი“ და ისტ-ის წარმატებული მენეჯერი

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე მრავალი სასიკეთო ცვლილებებიდან მოსწავლეები დაუფიქრებლად გამოყოფენ „ირმის ნახტომის” პროგრამას, რომელიც სამი წელია საქართველოს სკოლებში მიმდინარეობს და დღითიდღე იზიდავს ყველა ასაკის აღსაზრდელს. „ირმის ნახტომის“ პირველი კონკურსიდან (ტექნიკის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსი) დღემდე განხორციელებულ ყველა პროექტში წარმატებით მონაწილეობდა აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა. ისტ-ის ლაბორატორიის წარმატებები ლაბორატორიის მენეჯერის **ზურაბ მიქაიას** ძალისხმევის შედეგია. აღსანიშნავია, რომ მისი მუშაობა საგაკვეთილო ჩარჩოს გასცდა და მოსწავლეებს გაუღვიძა სურვილი, თავადაც შეექმნათ პროექტები, რომლებიც საინტერესოს გახდიდა მათ ცხოვრებას. ასე დაიბადა სკოლის ელექტრონული ჟურნალის – „მწვანე რტოს“ – შექმნის იდეა, რომლის ყველა ნომერი „ირმის ნახტომის“ კონკურსების პრიზიორი გახდა.

სკოლის ლაბორატორიაში V-XII კლასის ყველა მოსწავლე ეუფლება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლებს. მათი ძალებით ლაბორატორიაში შეიქმნა პროექტები: „აფხაზეთის მხატვრობა“, „აფხაზეთის მუსიკა“, „აფხაზეთის მწერლობა“. ეს უკანასკნელი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკის ნაწილი გახდა და პროექტის სამი წლის შედეგების შეჯამების შედეგად 2008 წლის, 26 დეკემბერს, აფხაზეთის №11 საჯარო სკოლას მიენიჭა I ადგილი და საჩუქრად გადაეცა ლეპტოპი. ყურადსაღებია ის, რომ მოსწავლეთა მიერ განხორციელებული საკონკურსო პროექტების გამარჯვებისათვის მიღებული პრიზებით სკოლის ისტ ლაბორატორია საჭირო ტექნიკითა და აქსესუარებით აღიჭურვა.

საგაკვეთილო პროცესში ისტ ლაბორატორიის გამოყენების დანერგვას ხელს უწყობს ზურაბ მიქაიას კოლეგებთან თანამშრომლობის უნარი, გამოცდილება და მათი დახმარებისათვის მუდმივი მზადყოფნა. დეკემბერში „ირმის ნახტომის“ მორიგი კონკურსის ფარგლებში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილების სასკოლო კონფერენციამ ორი გამარჯვებული გამოავლინა: **ქეთინო კახიანი** (ბუნებისმცოდნეობა) და **ირა გელანტია** (დაწყებითი კლასები), რომელთა მიერ დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილები წარდგენილ იქნა რესპუბლიკურ კონკურსზე.

სკოლის ადმინისტრაციამ სათანადოდ შეაფასა ზურაბ მიქაიას პროფესიონალიზმი, საქმისადმი დამოკიდებულება და, მადლობის გამოცხადებასთან ერთად, ფულადი პრემიით დაასაჩუქრა.

დასაფასებელია ზურაბ მიქაიას როლი სამეგრელოს რეგიონის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში – 3 წელია, ამ რეგიონის მასწავლებელთა ისტ ტრენინგებს უძღვება. მსმენელები ემადლიერებიან მას საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების გამო. აი, რას წერს ბატონ ზურაბს ფახულანის სკოლის დირექტორი **ხათუნა ფიფია**: *„ირმის ნახტომის“ საშემოდგომო კონკურსის შედეგად ჩვენმა სკოლამ წამახალისებელი პრიზი მიიღო. ეს უფროსკლასელთა პირველი პროექტია და ასე მგონია, რომ შენმა ტრენინგებმა სხვა სული ჩაუდგა მასწავლებლებს. მადლობა იმისათვის, რომ ტრენინგების დამთავრების შემდეგაც აგრძელებ ჩვენთან მუშაობას. მადლობა შენ და „ირმის ნახტომს“.*

ჩვენც ვუერთდებით ქალბატონ ხათუნას მადლობას – „ირმის ნახტომმა“ და ზურაბ მიქაიამ მოსწავლეებს სიახლეთა მიმართ ინტერესი გაუღვივეს.

ირა გელანტია
აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის დაწყებითი სწავლების კათედრის გამგე

შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული...

ამ დღეებში დედოფლისწყაროში, კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, გამოვლინდნენ ქართული წერის კალიგრაფიის რაიონულ კონკურსში გამარჯვებულები. კონკურსის პირობების მიხედვით მონაწილეობა ნებისმიერ პირს შეეძლო. მონაწილეები დაყოფილი იყვნენ ეტაპებად, ასაკის მიხედვით:

I ეტაპი – 18 წლამდე – 25 წლის ჩათვლით;
II ეტაპი – 25-დან – 40 წლამდე;
III ეტაპი – 40-დან – 60 წლამდე;
IV ეტაპი – 60-დან – 75 წლამდე;
V ეტაპი – 75 წლის ზემოთ.

კონკურსზე ასევე დაიშვებოდნენ პირველი კლასის მოსწავლეები, რომელთაც პედაგოგი შეურჩევდა ნებისმიერ ტექსტს. საკონკურსო დავალება იყო ილია ჭავჭავაძის სამსტროფიანი ლექსი:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან
მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“,

რომელიც კონკურსანტს უნდა დაეწერა ცალხაზიან ფურცელზე.

ეტაპების მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

პირველ ადგილზე გავიდნენ: **ლაშა ბუნტური** (სოფელი არხილოსკალო), **მარიკა გონაშვილი** (სოფელი გამარჯვება), **ლელა ყოჩიაშვილი** (სოფელი ჯაფარიძე), **ზაირა ლეკაშვილი** (სოფელი ზემოქედი), **თამარ ყოჩიაშვილი** (ქ. დედოფლისწყარო).

მოლოდინს გადააჭარბა პირველი კლასის მოსწავლეების ნამუშევრებმა. პირველი ადგილი წილად ხვდა **ოთარ სისაურს**;

მეორე ადგილი – **გიორგი გურაშვილს**;
მესამე ადგილი – **გურამ ნათელაძეს**.

გამოირჩეოდნენ: **მარი მოლაშვილი, გვანცა გოგიჩაიშვილი, თამუნა პაპაჩაშვილი, ვეფხო ლიქოკელი, ლერი ყაზაროვი, ნინო მეხრიშვილი, ლუკა ბენაშვილი, ხატია ტატუნაშვილი** – ქ. დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის I^ა კლასის მოსწავლეები (პედაგოგი **ციცო კევლიშვილი**), **ნინო თეთრაული** – I^ბ კლასის მოსწავლე (პედაგოგი **ზეინაბ პოპიაშვილი**); **სალომე გურასპაშვილი** და **ნინო ჯანაშვილები** სოფელი წითელწყაროს საჯარო სკოლა (პედაგოგი **ირმა გარსენიშვილი**).

პატრიოტული მუხტით მოცული პროექტის იდეის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ არაერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორიბ სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი **ნანა ჭიჭინაძე**.

კონკურსის დასასრულს კმაყოფილებას ვერ მალავდა ჟიურის თავმჯდომარე, სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის დირექტორი, ფილოლოგი **ლალი მენთეშაშვილი**, რომელმაც აღნიშნა: *დიდ ქართველობად მიმაჩნია, როცა ნებისმიერი პროფესიის ადამიანი ქართული წერის კალიგრაფიის კონკურსში იღებს მონაწილეობას და დამსახურებულად იმარჯვებს.*

ჟიურის წევრებმა: გაზეთ „შირაქის“ რედაქტორმა **ნაირა გორაშვილმა**, კულტურისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე **ნელი გობეჯიშვილმა**, განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე **მაყვალა მაძღარაშვილმა** განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს პირველი კლასის პედაგოგების: **ციცო კევლიშვილის, ზეინაბ პოპიაშვილის, ირმა გარსენიშვილის** მიმართ, რომელთა მოსწავლეების ნაწერებმაც მოხიბლა ჟიური.

კონკურსში მონაწილე ყველა გამარჯვებულს გადაეცემა დიპლომები და ფასიანი საჩუქრები დედაენის დღეს, 14 აპრილს.

მარიკა პოპიაშვილი

„ნოეს კიდობანი“ მომდევნო ტურისთვის ემზადება

27 მარტს, ტყიბულის №1 საჯარო სკოლაში, გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ინტელექტუალური თამაშის – „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ პირველი ეტაპი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდნენ თერჯოლის რაიონის ორი, მუხურის ერთი და ტყიბულის №1 საჯარო სკოლა. დაძაბული ტურის შემდეგ გამარჯვება ჩვენი სკოლის გუნდს – „ნოეს კიდობანს“ ერგო (ხელმძღვანელები: ისტორიის პედაგოგები – **ნია გოგსაძე** და **მერი ბასილაძე**). გუნდის წევრებმა: **ლიკა გოტიაშვილმა, ეკა სოფრომაძემ, მარიამ ბუბაშვილმა, გივი ჩორგოლიანმა, ანზორ ფორჩხიძემ, ნიკა გაბრიაძემ** და **ცოტნე ჯანელიძემ** მეორე ტურის საგზური მოიპოვეს. მათ „ბიბლიის“ საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გუნდის კაპიტნის – **ლიკა გოტიაშვილის** მონდომება და მიზანსწრაფვა, მან ბლიცკითხვებში მოწინააღმდეგე გუნდის კაპიტანი დაამარცხა.

კონკურსი ჩატარდა სკოლის ახლად აშენებულ დარბაზში, სადაც ორი საათის განმავლობაში ისმოდა ქართული ხალხური სიმღერების და საგალობლების ტკბილი, სულში ჩამწვდომი ჰანგები თუ ქართული ცეკვების ცეცხლოვანი რიტმები, რომელსაც დაუღალავად ასრულებდნენ კონკურსის მონაწილე გუნდების მხარდამჭერები. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო „ნოეს კიდობნის“ მხარდამჭერთა: **თამარ ლაფერაძის, თამარ გაბელაშვილის, გიორგი ბაბუხადიას, შმაგი სახელაშვილის** და მათი ხელმძღვანელის – **ციური ქათამაძის** თავდადება. გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გადავუხადოთ ხელისუფლებას ახლად აშენებული დარბაზისთვის.

კონკურსის დასასრულ, გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, გაისმა უამრავი მილოცვა და კეთილი სურვილები გამარჯვებული გუნდის მიმართ. ჩვენც ვუერთდებით ამ მილოცვას და „ნოეს კიდობანს“ ვუსურვებთ წარმატებას მომდევნო ტურში.

გვანცა ჩაფიძე
ტყიბულის №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე

მეთოდიკა

მათემატიკის სახელმძღვანელო – „ძველმოდური“, მაგრამ სამოტივაციო

თაობები დედაენის მსგავსად არითმეტიკაზე იზრდებოდა. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე, სკოლებში, VI კლასში, სასწავლო წლის პირველ ნახევრამდე ისწავლებოდა არითმეტიკა; მეორე ნახევრიდან იწყებოდა ალგებრა, პლანიმეტრია, სტერეომეტრია; მოგვიანებით – ტრიგონომეტრია. ამ ხუთივე საგანს თან ახლდა ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებულები. სახელმძღვანელოები და კრებულები, წონითაც და მოცულობითაც, იყო ისეთი, რომ მათი ტარება მოსწავლეებს არ ეძნელებოდათ (ე.ი ერთი საგნის სწავლების პერიოდში მათ არ უწევდათ რამდენიმე საგნის თეორიული და პრაქტიკული სავარჯიშოების სახელმძღვანელოების ტარება).

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მათემატიკური საგნები გაერთიანდა – არითმეტიკა, ალგებრა, ელემენტარული ფუნქციები, ანალიზის საწყისები კრებულითურთ გააერთიანეს ერთ წიგნად. ანალოგიურად, პლანიმეტრია, სტერეომეტრია და ტრიგონომეტრია, სავარჯიშოებთან ერთად, ერთ წიგნად გააერთიანეს. ამ საგანთა გაერთიანებას დაემატა 5 ახალი საგანი: სიმრავლეთა თეორია; ალბათობა; მოდულური არითმეტიკა; მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა; კომბინატორიკა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საგანი, ზემოთ განხილულ გაერთიანებასთან ერთად, თავისი სავარჯიშოებით, ეკონომიკური მოგების მიზნით, თანამედროვე ტერმინოლოგიიით რომ ვთქვათ, 12 საგანი გააინტეგრირეს ერთ წიგნად, რომელიც არც ცნობარია, არც ენციკლოპედია და არც სახელმძღვანელო. ეს წიგნი ზომით, წონით და მოცულობით კოლოსალურია, მისი ტარება სასწავლო წლის მანძილზე ბავშვის ჯანმრთელობისათვის საზიანოა. ფასი იცვლება 10-დან 20 ლარამდე. წარმოვიდგინოთ მშობლის მდგომარეობა, რომელმაც ამ ფასში უნდა შეიძინოს სახელმძღვანელოები შვილებისთვის.

ეკონომიკურად სახელმძღვანელოების დანაწევრება საგნებად, თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად მომგებიანია. მშობლებისთვის გაცილებით უფრო ხელმისაწვდომია ოთხლარიანი ხუთი წიგნის შეძენა სხვადასხვა დროს, მაშინ, როცა ამის საჭიროება იქნება, ვიდრე იყიდოს ერთი წიგნი 20 ლარად.

აუცილებელია, სახელმძღვანელოების თეორიული ნაწილი ცალკე წიგნად იყოს, რაც თემის სრულყოფილად გადმოცემის მეტ შესაძლებლობას იძლევა – გაშლილად, მარტივად, გასაგებად, მეთოდიკურად დამუშავებული და ექსპერიმენტულად შემოწმებული სახით.

სავარჯიშოების კრებულებში მაგალითები და ამოცანები დიდაქტიკური წესებით უნდა იქნეს შედგენილი და დალაგებული. ეს კი მოსწავლეს აძლევს მოტივაციას, ამოხსნას ერთმანეთის მსგავსი მაგალითები და ამოცანები, არა 5 ან 10, არამედ, საჭიროების მიხედვით, 50 და უფრო მეტიც. ერთი და იმავე პროცედურის გამეორებით ბავშვები ცოდნას იმტკიცებენ, გონებას ივარჯიშებენ და განვლილ მასალასაც უკეთ იმახსოვრებენ.

საქართველოს საჯარო სკოლებში დღეს მოქმედი მათემატიკის სახელმძღვანელოების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ როგორც პედაგოგებს, ასევე მოსწავლეებს, მშობლებს, აბიტურიენტებს და რეპეტიტორებსაც კი.

2008 წლის 4 დეკემბერის „ახალ განათლებაში“ წერს **ნელი ნასყიდაშვილი**, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელობის პილოტირების ტრენერი: *„მოსწავლეებს და მათ მშობლებს თუ მოვუსმენთ, მათი სრული უმრავლესობა აცხადებს, რომ მათემატიკის გაკვეთილები ან არ ტადრება, ან ტარდება, მაგრამ მათემატიკის სწავლება არ ხდება. ასეთი სიტუაცია მაღალი კლასებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო დაბალ კლასებში (პირველიმეექვსე კლასი) მასწავლებლები ჯერ კიდევ ახერხებენ მოსწავლეთა დამორჩილებას ცოდნის დაგროვების დონეზე, თუ გაკვეთილები ტარდება, სწავლება კი არ ხდება“.* აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამის მიზეზი სახელმძღვანელოების ვარგისიანობაში დევს. თავიდანვე რთული, სააზროვნო და პრობლემური ხასიათის ამოცანებში, აგრეთვე სამოტივაციო, არც ძალიან რთული და არც ძალიან მარტივი, დიდაქტიკური წესებით შედგენილი ამოცანების სიმცირეში.

„მასწავლებლებს თუ მოვუსმენთ, ასევე მათი უმრავლესობა იმ სახელმძღვანელოებს აბრალებს მათემატიკის გაკვეთილებზე შექმნილ სიტუაციას, რომლებიც დღეს სკოლებში ვრცელდება“.

რეპეტიტორები აბიტურიენტებთან აღარ იყენებენ სასკოლო სახელმძღვანელოებს თეორიული მასალის შესასწავლად და პრაქტიკულ სამუშაოებზე სავარჯიშოდ.

საქართველოში მათემატიკის ერთიანი სტანდარტი არსებობს და, შესაბამისად, ერთიანი პროგრამა. ასევე არსებობს საკითხთა თანმიმდევრობითი და მეთოდიკური გადაცემის საუკუნოვანი მეთოდიკა. მაშ, რატომ ხდება, რომ ავტორთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ ერთი და იმავე წელს გამოცემული, ერთი და იმავე კლასის სახელმძღვანელო ასე განსხვავდება ერთმანეთისაგან?

დღეისათვის პითაგორას თეორემის 100-ზე მეტი დამტკიცება არსებობს, „ძველმოდურია“, მაგრამ 2200 წლის განმავლობაში პითაგორასეულ დამტკიცებაზე უფრო ლამაზი და მარტივი დამტკიცება დრემდე არავის მოუცია.

ბერძენმა მეცნიერმა ერატოსთენემ მოგვცა მარტივ რიცხვთა ცხრილის შედგენის ე.წ ერათოსტენეს „საცერი“. „ძველმოდურია“, მაგრამ მასზე უფრო მარტივი და ლამაზი საცერი დღემდე არავის შეუქმნია.

პრეზიდენტის თქმისა არ იყოს, სანამ „კოლბაში არ გამოიყვანენ“ ინტეგრირებული საგნების სპეციალისტ პედაგოგებს:

- „ძველმოდურად“, მარტივად და ლამაზად დავშალოთ ერთმანეთთან ინტეგრირებული უამრავი საგანი.
- ყველა საგანს დავუბრუნოთ დაკარგული, „ძველმოდური“ სახელი (პლანიმეტრია, სტერეომეტრია, ტრიგონომეტრია, ...).
- შევადგინოთ სახელმძღვანელო წიგნები „ძველმოდურად“, რაც საშუალებას მოგვცემს, თემა გადმოვცეთ გაშლილად, სრულყოფილად, დიდაქტიკურად, მეთოდიკურად გამართულად, მარტივად და გასაგებად.
- აღვადგინოთ დიდაქტიკური წესებით შედგენილი სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებულები (ერთმანეთის მსგავსი 20-30 და 50-ზე მეტი მაგალითი და ამოცანა). ეს კი შექმნის მოსწავლეებში მოტივაციას, ამოხსნან არც ძალიან მარტივი და არც ძალიან რთული ამოცანები.

კრებული მოსწავლეებს ცოდნის შეძენის საშუალებას მისცემს.

დღეს მოქმედი სახელმძღვანელოები იმდენად არაპრაქტიკულია, რომ უდავოდ იქცევა უბრალო მასად თავისი უხვად მიმობნეული, მაგრამ ძნელად გამოსაყენებელი, სააზროვნოდ რთული, პრობლემური ხასიათის სავარჯიშოებით.

დემურ კუხალეიშვილი
ზუგდიდი, ჩხორიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

ინფორმაცია

...რომ კვლავაც მოგვესმას სიტყვა რუსთაველისა

წლების განმავლობაში დიდი სიყვარულით ვემსახურები ჩემს საქმეს – ახალგაზრდა თაობას მუსიკალურ ხელოვნებას ვაზიარებ. წელს კურსების საჯარო სკოლის (დირექტორი **თამარ ზარნაძე**) დირექციამ დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელობა მომანდო. ამ საქმეში გამოცდილება არ მქონია, მაგრამ გვერდში დამიდგნენ პრაქტიკოსი პედაგოგები და საინტერესო იდეები მომანოდეს. მათ შორის საუკეთესოდ მივიჩნიე IV კლასის ხელმძღვანელის – **თინათინ გიორგაძის** შემოთავაზება. საქმე ისაა, რომ ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის საჯარო სკოლაში დღესაც წარმატებით მოღვაწეობს გერმანული ენის პედაგოგი, ქალბატონი **ანრო ცირეკიძე**, რომელმაც ზეპირად იცის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მას კარგად იცნობენ რუსთველოლოგები, „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული არაერთი კონკურსის მონაწილეა.

ქალბატონ თინათინ გიორგაძეს დიდი ხნის წინ გასჩენია სურვილი, საკუთარი მოსწავლეებისათვის ქართველთა საამაყო პოემის ზეპირად მცოდნე ადამიანი გაეცნო და აი, ამ ჩანაფიქრის განხორციელების დროც დადგა. მეოთხე კლასელები, ასაკის შესაბამისად, იცნობენ შოთა რუსთაველს და მის პოემას. დამეთანხმებით, ალბათ, გაკვეთილისთვის ამაზე უკეთესი მოტივაცია არ არსებობს.

ნაყოფიერად ჩაიარა მოსამზადებელმა პერიოდმა. როგორც ხელოვნების მასწავლებელს, მიმაჩნდა, რომ ამ დღეს სიტყვის ხელოვნების ზეიმი უნდა გამართულიყო. გაკვეთილის დაწყების წინ, განწყობა ამაღლებული იყო. ღელავდნენ ბავშვებიც და მასწავლებელიც – ელოდნენ სტუმარს, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ნებისმიერ თავს ზეპირად წაიკითხავდა. აი, ზარიც დაირეკა და კლასში ქალბატონი ანრო ცირეკიძე შემოვიდა. ბავშვებმა დიდი მონდომებით გააცნეს სტუმარს თავიანთი ნამუშევრები, ალბომები, ფოტომასალა. განსაკუთრებული მოწონება **ვახტანგ იამანიძის** მიერ გადაღებულმა ვიდეომასალამ დაიმსახურა. მასში თავმოყრილი იყო ყველაფერი, რაც კი რუსთაველის სახელს უკავშირდება ქალაქ ქუთაისში.

ბავშვები ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ თავი მოეწონებინათ ქალბატონი ანროსათვის. ზეპირად ყვებოდნენ რუსთაველის უკვდავ სტრიქონებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ასრულებდნენ სხვადასხვა სახის დავალებებს. შემდეგ მასწავლებელმა მორიგეობით მიიწვია მოსწავლეები ლოტოტრონთან, იღებდნენ ნომრებს და, მათდა გასაოცრად, ქალბატონი ანრო ყველა სტროფს შეუფერხებლად, დიდი სიყვარულით კითხულობდა. **ლევან გიორგაძემ** მტკიცე ხმით ამცნო კლასს თავისი გადაწყვეტილება, დღეიდან მეც ვიწყებ „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლასო.

მოულოდნელი იყო **ანა ჯალაღანიას** შეკითხვა: თქვენ გერმანული ენის მასწავლებელი ბრძანდებით და თუ შეგიძლიათ ამ ენაზე პოემის რომელიმე სტროფის წაკითხვა? ქალბატონი ანრო არც დაფიქრებულა, ისე წაიკითხა რამდენიმე სტროფი გერმანულ ენაზე.

როდესაც ქალბატონ თინათინს ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტმა ჰკითხა: რა იყო თქვენი გაკეთილის მიზანი, მან უპასუხა: ერთ-ერთი მიზანი ქალბატონ ანრო ცირეკიძის გაცნობა იყო, ამასთანავე მინდოდა ბავშვები დამერწმუნებინა, თუ რაოდენ პოპულარულია „ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ჩვენი სიამაყის საგანს წარმოადგენს.

როგორც დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელმა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ თინათინ გიორგაძეს ასეთი საინტერესო გაკვეთილის ჩატარებისათვის. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არაერთი მსგავსი გაკვეთილი აქვს ჩატარებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალოსან მასწავლებელს, ის მართლაც მასწავლებლადაა დაბადებული. პედაგოგის ოჯახში აღზრდილს ძალიან უყვარს საკუთარი პროფესია, ამას თავადაც ხშირად აღნიშნავს. სკოლით სუნთქავს და ცოცხლობს, უხარია ყოველი დღის გათენება, რადგან იცის, რომ წავა სკოლაში, სადაც დახვდებიან მოსწავლეები, რომლებთანაც სიყვარულსა და სიკეთეს ასხივებს.

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ როგორც მოსწავლეებს, ასევე მოწვეულ სტუმრებს.

რიტა შეროზია
სოფელ კურსების საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელი

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, წერილში **„აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტი დევნილი აბიტურიენტების დასახმარებლად წელსაც ამოქმედდა“** დაშვებული იყო შეცდომა.

ნაცვლად: *„...რადგან მეთორმეტეკლასელები პარასკეობით სკოლას ვერ აცდენენ.“*

უნდა ყოფილიყო: *“...რადგან მეთერთმეტეკლასელები პარასკეობით სკოლას ვერ აცდენენ.“*

შენიშვნა

კონფლიქტის ზონის სკოლებს (იგულისხმება გალის რაიონი) მეთორმეტეკლასელები საერთოდ არ ჰყავს, 11-წლიანი სწავლებაა.

რედაქცია ბოდიშს იხდის დაშვებული უზუსტობისთვის.

კასპის რაიონის სოფელ დოესის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგები და 1993 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგის – ეკა ბაიდაურის დედა, გეოგრაფიის პედაგოგი

ეთერ ოხანაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეთოდიკა

ცდები სახალისო ქიმიიდან

ბავშვებს ძალიან უყვართ სახლში, დამოუკიდებლად, ექსპერიმენტების ჩატარება. თქვენი ვალია, ასეთ მოსწავლეებს სათანადო დახმარება გაუწიოთ და სწორ გზაზე დააყენოთ. ძირითადად, ეს არის – მშობლების თანხმობის მიღება სახლში ექსპერიმენტების ჩასატარებლად; პირველ რიგში, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის შესწავლა; „ლაბორატორიის“ სწორად მოწყობა, რეაქტივებისა და ხელსაწყოების შენახვა კარგად ჩაკეტილ კარადაში ან ყუთში; თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება; არაფეთქებადი ნივთიერებებით მუშაობა და... კიდევ რამდენიმე მოთხოვნა, რომელიც ყველა პედაგოგმა თვითონვე კარგად უნდა იცოდეს.

ცდები, რომელიც დღეს მინდა შემოგთავაზოთ, გაზაფხულისთვისაა განკუთვნილი, ვინაიდან ამინდის ცვლილებებზეა დამოკიდებული და ქართული გაზაფხულიც ხომ ყოველდღიური ცვლილებებითაა განთქმული. ეს ცდები სწორედ იმ მოსწავლეებს დააინტერესებთ, რომლებსაც სახლში უყვართ ექსპერიმენტების ჩატარება.

ამინდის მაჩვენებელი – ყვავილების თაიგული

აიღეთ 100 წონითი ნაწილი გამოხდილი წყალი (ან წვიმის წყალი). გახსენით მასში 10 წონითი ნაწილი სუფთა თეთრი ჟელატინი და მიღებულ ხსნარს დაუმატეთ ერთი წონითი ნაწილი კობალტის ქლორიდის ფხვნილი.

აიღეთ თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი (ეს უკანასკნელი – ფოთლებისათვის) ქაღალდის ფურცლები და მისგან ხელოვნური თაიგული დაამზადეთ. თაიგული გაჟღინთეთ დამზადებული ხსნარით და გააშრეთ. გექნებათ მოვარდისფრო და ვარდისფერი ყვავილები ყვითელი ფოთლებით. ეს ფერები შენარჩუნდება მანამ, სანამ მოღრუბლული და ნესტიანი დღე იდგება. მაგრამ, საკმარისია გამოიდაროს, რომ ყვავილები ცისფერი და იისფერი გახდება, ხოლო ყვითელი ფოთლები გამწვანდება.

შეგიძლიათ, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადოთ „ყვავილების ბარომეტრი“ (იგივე „ჰიგროსკოპი“, ანუ ტენიანობის მაჩვენებელი), თუ ზემოთ აღნიშნულის გარდა შემდეგი შედგენილობის კიდევ ორ ხსნარს დაამზადებთ:

№1

კობალტის ქლორიდი – 1 წონითი ნაწილი

თეთრი ჟელატინი – 20 წონითი ნაწილი

ნიკელის ოქსიდი – 75 წონითი ნაწილი

სპილენძის (I) ქლორიდი – 25 წონითი ნაწილი

გამოხდილი წყალი – 200 წონითი ნაწილი

№2

სპილენძის (II) ქლორიდი – 1 წონითი ნაწილი

ჟელატინი – 10 წონითი ნაწილი

წყალი (გამოხდილი) – 100 წონითი ნაწილი

აიღეთ სიგარეტის თხელი თეთრი ქაღალდის პატარა ნაჭრები და თითოეული გაჟღინთეთ ამ ხსნარებით. შეისწავლეთ თითოეული შეღებილი ქაღალდის ფერის ცვალება ამინდზე (სითბო, სინესტე) დამოკიდებულებით. შეარჩიეთ ფერის ცვალების ყველაზე ეფექტური უნარის მქონე ხსნარები (მოცემული ქაღალდის ხარისხით გამოწვეული). ამ ხსნარებით გაჟღინთეთ შესწავლილი ქაღალდის უფრო დიდი ნაჭრები და გააშრეთ. ბოლოს კი, ამ ქაღალდებით ყვავილები დაამზადეთ და თქვენი ფანტაზიისა და მხატვრული გემოვნების მიხედვით შეადგინეთ თაიგული – ამინდის მაჩვენებელი.

ცდას, რომლის მომზადებასაც რამდენიმე დღე სჭირდება და მით უმეტეს მომზადების შემდეგ, რამდენიმე დღე გრძელდება, თავისი უპირატესობა აქვს. მოსწავლე სწავლობს მოთმინებას, ნებისყოფის დაძაბვას, მეტი დრო აქვს მასზე საფიქრად და თავისი დაკვირვების უკეთ ჩამოსაყალიბებლად. ბევრი ჩემი მოსწავლე დიდი ხალისითა და მონდომებით მუშაობდა ასეთ „გრძელვადიან“ ექსპერიმენტებზე. არსებობენ „სულსწრაფი“ ბავშვებიც, რომლებსაც მსგავს ცდებს ვერ ჩაატარებინებ, მაგრამ ინტერესი დიდი აქვთ ქიმიისადმი (კერძოდ, საკუთარი ხელით რაიმეს გაკეთების). მათთვის „შესაბამისი“ სამუშაო უნდა გქონდეთ.

ახლა გავიხსენოთ, ბუნებიდან რა შეიძლება დავუკავშიროთ ამ „ბარომეტრ თაიგულს“.

ყველას ექნება შემჩნეული, თუ როგორ არის დახურული ზოგიერთი ყვავილის გვირგვინი ცუდ ამინდში. გამოიდარებს თუ არა, ეს ყვავილები კვლავ გადაიხსნებიან.

ასევე, არსებობენ მცენარე „საათები“, რომლებიც დღე-ღამის მხოლოდ გარკვეულ საათებში იშლებიან, დანარჩენ დროს კი დამჭკნარებივით არიან ჩახურულები. მაგალითად, ვარდკაჭაჭას ცისფერი ყვავილები ვარსკვლავებივით შემოგანათებენ ადრიანი დილიდან. 12-13 საათიდან კი ვერც ერთ მათგანს ვეღარ ნახავთ გადახსნილს. ზოგი ყვავილი მხოლოდ ღამე იშლება... და ა.შ. დაინტერესებულმა მოსწავლეებმა შეიძლება თვითონ მოძებნონ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის – ინტერნეტიდანაც.

ამინდის ცვლილებას წინასწარ იგებენ ფრინველებიც.

აი, რას გვიყვება ფრანგი სპელეოლოგი ნორბერ კასტერე თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება მიწის ქვეშ“, ანუ მღვიმეებში.

მეცნიერს დიდი ხნის შემჩნეული ჰქონდა, რომ მღვიმის გამოსასვლელთან ახლოს კლდის ჭერზე ორიათასამდე ღამურა ეკიდა. ჩამობნელდებოდა თუ არა, ეს ღამურები ერთმანეთის მიყოლებით გაფრინდებოდნენ ხოლმე გარეთ და მთელი ღამე ნადირობდნენ. გათენების მოახლოებისთანავე ღამურები ბრუნდებოდნენ თავის სადგომში.

ერთხელ, ნორბერ კასტერე მღვიმეში რამდენიმე დღის ყოფნის შემდეგ, ბრუნდებოდა უკან და მიუახლოვდა მღვიმის გასასვლელს. საათის მიხედვით უკვე დიდი ხნის დაღამებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ღამურები ისევ ისე თავდაყირა ეკიდნენ ჭერზე. მეცნიერი გამოვიდა მღვიმიდან და დაინახა თავსხმა წვიმა. ღამურებთან ახლოს კასტერეს არც ჭექა-ქუხილის და არც წვიმის ხმა არ გაუგია. მისი მაჯის ბარომეტრი კი წნევის დიდ ცვლილებებს უჩვენებდა. „აი, თურმე რატომ არ გამოსულან გარეთ“, გაიფიქრა მან. შემდეგშიც აკვირდებოდა ღამურების მოქმედებას და აღმოაჩინა, რომ მღვიმეში, შესასვლელიდან კიდევ უფრო შიგნით მცხოვრები ღამურებიც ისევე იქცეოდნენ. ე.ი. არც მხედველობა და არც სმენა მათ მოქმედებაში მთავარი არ იყო. წნევა კი ერთნაირად იცვლებოდა მღვიმეშიც და გარეთაც. ე.ი. ღამურები წნევის ცვლილებას, რაც თავის მხრივ ამინდის ცვლილებას იწვევს, ემორჩილებიან.

ნორბერ კასტერეს ეს აღმოჩენა ბევრჯერ გამოადგა. როცა ღამურები ღამის საათებში გარეთ არ მიფრინავდნენ, მაღლა არ ამოდიოდა, რადგან იცოდა – წვიმა და ავდარი დახვდებოდა.

ახლა, მინდა, გაგახსენოთ ერთი ფაქტი. ყვავილების თვალიერება თუ გიყვართ, ალბათ შეგიმჩნევიათ ბაზარში არაბუნებრივი ფერის მიხაკები (მაგალითად, ლურჯი) და კიდევ ზოგიერთი სხვა ფერშეცვლილი ყვავილი. ზოგიერთი მათგანის ფერი შეიძლება ქიმიური ჩარევის შედეგი იყოს. სწორედ ამაზე მინდა მოგითხროთ შემდეგ ცდაში, რომელშიც ამონიუმის ტუტე NH_4OH და ეთერი მონაწილეობენ.

ბუნების ცელქობა

ერთნაირი მოცულობით შეურიეთ ნიშადურის სპირტი NH4OH და ეთერი. ნიშადურის სპირტი სუნთქვისათვის მავნეა, დიეთილის ეთერი კი – ცეცხლსაშიში. ამიტომ იმუშავეთ ამწოვ კარადაში ან ღია ადგილზე.

მიღებულ ხსნარში ღეროებით ჩაყავით სხვადასხვა ფერადი ყვავილი. მაგალითად, იები, მიხაკები, ყაყაჩოები, ყოჩივარდები, მაჩიტები და ნებისმიერი სხვა, გინდა ცალცალკე და გინდა ერთად. თითოეული შეიცვლის ფერს. სულ სხვადასხვა შეფერილობის ყვავილებს მიიღებთ, რაც ნებისმიერ ბოტანიკოსსაც კი გააკვირვებს.

კიდევ ერთ მსგავს ცდას შემოგთავაზებთ, რომლისთვისაც სკოლის ეზოში ან ბაღში მოგიწევთ გასვლა. ნებისმიერ მოსწავლეს ძალზე გაუკვირდება, თუ თეთრი ვარდების ბუჩქს მიუახლოვდებით, რამდენიმე ვარდს პულვერიზატორით სპირტს ან ოდეკოლონს მიასხურებთ და მყისიერად გააწითლებთ.

ასევე შეიძლება ერთი და იმავე ბუჩქზე თეთრი ვარდებიდან პულვერიზატორით ზოგი ვარდი გააწითლოთ, ზოგი გაალურჯოთ, ზოგი კი გაამწვანოთ.

ალბათ მიხვდებით, რომ ვარდზე სპირტის ან ოდეკოლონის მისხურება არავითარ ეფექტს არ მოგვცემდა, თუ ვარდების ფერის ცვალებამდე რაიმე „ქიმიურ ეშმაკობას“ არ ჩავიდენდით. სწორედ ამას გასწავლით ახლა.

ვარდისფერი პულვერიზატორი

თეთრი ვარდები წინასწარ უნდა გაამზადოთ მოულოდნელი სწრაფი ფერის ცვალებისათვის. ამისთვის შერჩეულ ვარდს წინასწარ უნდა დააყაროთ ანილინის წითელი საღებავის მშრალი ფხვნილი. ვარდის შერხევით მისგან ჩამოცვივდება საღებავის ნამცეცები და ყვავილი ისევ თეთრი დარჩება. მაგრამ ის უმცირესი ნაწილაკებიც კი, რომელიც შეუმჩნევლად შერჩება ფურცლებზე, საკმარისი იქნება იმისათვის, რომ სპირტის ან ოდეკოლონის შესხურებისას ვარდი სწრაფად გაწითლდეს.

ანილინის საღებავები ძალიან კარგად იხსნება სპირტში და ამის გამო სულ რამდენიმე ნამცეციც კი საკმარისია ფერის მისაღებად. თუ სხვადასხვა ვარდს ანილინის სხვადასხვა ფერის საღებავის ფხვნილს დააყრით (და ვარდებს შეარხევთ, რომ ნამცეცების დიდი რაოდენობა არ შერჩეს ფურცლებს), მაშინ პულვერიზატორის ამოქმედებისას ერთი და იმავე ბუჩქის ვარდები სხვადასხვა ფერად შეიღებება.

თუ ბუჩქს ვერ იპოვით, იგივე ცდა თეთრი ვარდების თაიგულზე შეგიძლიათ ჩაატაროთ.

ანილინის საღებავები ქიმიური წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ამ სფეროში მოსწავლემ შეიძლება საკუთარი აღმოჩენაც გააკეთოს. ჩემმა ერთ-ერთმა მოსწავლემ ქიმიის წრეზე საკუთარი საღებავის მიღების ტექნოლოგია წარმოადგინა. ამ საღებავს „მაიას მწვანე“ დავარქვით და მასში შეღებილ შარფს რიგ-რიგობით იკეთებდნენ ქიმიის წრის წევრები.

იქნებ თქვენც გეცადათ მსგავსი რამ. ბავშვებს ძალიან ახალისებთ საკუთარი აღმოჩენები.

გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

ინფორმაცია

„+10“, „რწყილი და ჭიანჭველა“, ანუ ხე დარგე“

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით მოამზადა ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველას ახალი თავგადასავალი“, რომლის ავტორი გახლავთ კლიმატის ცვლილებების მიმართ საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების კოორდინატორი **მარინა შვანგირაძე**. ამ ზღაპარში ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე და, ამავდროულად, მეცნიერულ დონეზე ახსნილია გლობალური დათბობისა და გარემოს ცვლილებების მიზეზები.

144-ე საჯარო სკოლამ (სკოლის დირექტორი **მანანა კიკაჩეიშვილი**) ამ პრობლემას მიუძღვნა პროექტი, რომელშიც ექვსი სკოლა ჩაერთო. პროექტის იდეის ავტორია, ამავე სკოლის IIᵃ კლასის ხელმძღვანელი **მაია ცომაია**, რომელმაც თავისი პატარების დახმარებით, 2009 წლის 6 აპრილს, დადგა სპექტაკლი, სახელწოდებით „+1 0“, „რწყილი და ჭიანჭველა“, ანუ – ხე დარგე“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის ადმინისტარცია, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები. მათ შორის იყვნენ: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი სოფიო გორგოძე, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი იოსებ ქარცივაძე, წიგნის ავტორი ქალბატონი მარინა შვანგირაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის „CENIV“-ის ბიომრავალფეროვნების კოორდინატორი **ნინო ლაღიძე** და სხვ.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. თითოეული მონაწილე ბავშვს გააზრებული ჰქონდა ზღაპარში არსებული პრობლემა და ამიტომაც საკმაოდ თავდაჯერებულად, ემოციურად და ბუნებრივად გადმოსცემდნენ თავიანთ სათქმელს.

ამ ღონისძიებამ საფუძველი ჩაუყარა პროექტს, რომლის განხორციელებაში პარტნიორი სკოლები მიიღებენ მონაწილეობას.

თეა ქორქაშვილი,
თბილისის №144-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სახელობო სწავლების საპილოტე პროგრამის პრეზენტაცია 170-ე საჯარო სკოლაში

სახელობო სწავლების დანერგვა 170-ე სკოლაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის საფუძველზე დაიწყო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საპილოტედ შერჩეულ იქნა 40 სკოლა.

170-ე სკოლა, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგრანტო კონკურსში გამარჯვებული, სახელობო სწავლებას ახორციელებს მხატვრული ხელოვნების ორ სახეობაში – მოდის დიზაინსა და მინანქრის აქსესუარების წარმოებაში. პროექტის თანადამფინანსებელია ბავშვთა სოფელი, რომელიც 170-ე საჯარო სკოლის ოფიციალური პარტნიორია.

პროექტის ფარგლებში, XI და XII კლასის მოსწავლეები შეისწავლიან მათთვის სასურველ ხელობას – მოდის დიზაინს (ტანსაცმლის ესკიზების შექმნა, თარგების გამოჭრა, კერვა, ძველი ტანსაცმლის გადაკეთება, სამოსისათვის საჭირო დეკორატიული ელემენტების შექმნა), და მხატვრულ მინანქარს (აქსესუარების – საყურეების, სამაჯურების, ბეჭდების, გულსაკიდებისა და ბროშების შექმნა).

პროექტი მიზნად ისახავს მოზარდთა ესთეტიკური მსოფლმხედველობისა და გემოვნების ჩამოყალიბებას, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებისა და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად. შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარებას, წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობასა და მათი გამოყენებისადმი ადეკვატური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ზოგადსაგამანათლებლო კურსის დასრულების შემდეგ სახელობო სწავლების პროექტში ჩართულ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად დაგეგმონ და განავითარონ თავიანთი კარიერა და ინდივიდუალური პრაქტიკის გაგრძელებისათვის შეიქმნან რეალური წინაპირებები. სკოლის დამთავრების ატესტატთან ერთად ისინი სახელობო სწავლების სერტიფიკატს მიიღებენ.

სახელობო სწავლების პილოტირებაში 30-მდე XI და XII კლასელი მოსწავლეა ჩართული. მხატვრული დიზაინისა და მინანქრის შესწავლა მათთვის საინტერესო და სახალისო საქმე გამოდგა.

სახელობო სწავლების პრეზენტაცია გაიმართა 7 აპრილს სკოლის საგამოფენო დარბაზში. მოსწავლეთა ნამუშევრები მოწვეულმა სტუმრებმა და მოსწავლეთა მშობლებმა დაათვალიერეს. პრეზენტაციას ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი **სიმონ ჯანაშია** დაესწრო.

წარმატებული სკოლა

თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, აბაშიძის №4-ში მდებარე რუსულ-ქართული 37-ე სკოლა ყურადღებას იმ მხრივაც იმსახურებს, რომ ერთაშორისი საგანმანათლებლო ურთიერთობებით გამოირჩევა. სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ნინო გარსევანიძე** მოგვითხრობს: *„სასწავლო წელი ისე არ ჩაივლის, მონაწილეობა რომ არ მივიღოთ დაძმობილებულ სკოლებში განხორციელებულ კონკურსებსა თუ ოლიმპიადებში, ეს, ძირითადად, რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას ეხება. მიმდინარე წლის, 3-7 იანვარს, მოსკოვში გამართულ ალექსანდრე პუშკინის იუბილესადმი მიძღვნილ ოლიმპიადაზე, ჩვენმა ნამოწაფარმა, **ვაჟა ცხოვრებაშვილმა*** (რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ლარისა რობაქიძე**) გვასახელა. პირველ ტურში, რომელიც საქართველო რუსეთის-კულტურული ურთიერთობების პრეზენტაციას გულისხმობდა, ისე შთამბეჭდავად წარსდგა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარგზავნილთაგან მხოლოდ მან დაიმსახურა 10 ქულა. მოსკოვის მერმა, ვლადიმერ ზაკოიმ მადლიერება გამოგზავნილი წერილით გამოხატა.

2008 წლის ნოემბერში, ასევე მოსკოვში ჩატარებულ საერთაშორისო ოლიმპიადაში ჩვენი სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ, **გიორგი ოსიპოვმა** მიღო მონაწილეობა. მან მესამე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა (მათემატიკის მასწავლებელი **მარინა ქიქოძე**).

2008 წლის, 7 დეკემბერს, პროფკავშირების სასახლეში გამართულ დათვალიერება კონკრსში – „მშვიდობის ფრესკა“ – **ნადეჟდა ანტონოვას** ათმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მეორე ადგილზე გავიდა **თამარ კაკლიაშვილი** (III კლასი); მესამე ადგილზე – და-ძმა **ანა** და **ალეკო მურადოვები.**

მოსწავლეთათვის ხელმარჯვე ოსტატთა წრე (ხელმძღვანელი **ნადეჟდა ანტონოვა**) სკოლაში ის საინტერესო ადილია, სადაც თვალი რას არ ნახავს, რბილ სათამაშოებსა თუ ნაქარგებსა და მრავალსახეობით ნაძერწს. “

ვუსმენდით დირექტორს და ვფიქრობდით, რა ძალისხმევას, დღევანდელი სკოლის ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა სწავლა-სწავლების შემოქმედებითმა მიდგომამ. რეფორმა სასწავლო აღმზრდელობით პროცესს ისე წარმართავს, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სულ ახალ-ახალ ასპარეზობებს სთავაზობს. საქართველოში ვერ ნახავთ საჯარო სკოლას, წარმატებული მასწავლებელი, წახალისებული მოსწავლე არ ჰყავდეს, თუნდ საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონკურსებში. ამჯერად ერთ ამგვარ სკოლაზე მოგითხრობთ.

პროფესიონალიზმსა და საქმისადმი ერთგულებას მოითხოვს ამგვარი წარმატებები. მადლობა ყველას, ვინც ასეთი რუდუნებით ეკიდება მომავალი თაობის აღზრდას.

ნინო საყვარელიძე

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გორის რაიონის სოფელ ერგნეთის რეაბილიტირებული სკოლა გახსნა

ნიკა გვარამიამ, საქართველოს ბანკის გენერალურ დირექტორთან **ირაკლი გილაურთან** ერთად, გახსნა სკოლა და მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის) ლაბორატორია გადასცა.

2007 წელს ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლას, მეგაპროგრამა ”იაკობ გოგებაშვილის” ფარგლებში, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, გამოიცვალა სახურავი, კარ-ფანჯრები, გაკეთდა გათბობის სისტემა. სკოლა აღიჭურვა სასკოლო ინვენტარითა და კომპიუტერებით.

ერგნეთის საჯარო სკოლა რუსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან 300 მეტრში მდებარეობს. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად სასწავლო დაწესებულება გაიძარცვა, დაზიანდა კედლები, ჩამოინგრა სახურავი, მწყობრიდან გამოვიდა გათბობის სისტემა, სრულად განადგურდა სასკოლო ინვენტარი. ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის აღდგენითი სამუშაოები ”საქართველოს ბანკის” კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდმა განახორციელა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად სკოლაში აღდგა დაზიანებული კედლები და სახურავი, განახლდა გათბობის სისტემა. ფონდმა, ასევე, უზრუნველყო სკოლის სრული მომარაგება ახალი სასკოლო ავეჯით, სპორტული და სასკოლო ინვენტარით, მათ შორის: გეორგაფიული და ისტორიული რუკებით, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკის და სხვა საგნების თვალსაჩინოებათა კომპლექტებით. ფონდმა სკოლას გადასცა და დაუმონტაჟა კომპიუტერები, ასევე შეუძინა ტელევიზორი, DVD და ვიდეოსაკრავი, მუსიკალური ცენტრი. ბიბლიოთეკისთვის – მხატვრული ლიტერატურა.

სოფელ ერგნეთის სკოლა ფონდის მიერ აღდგენილი რიგით მეორე სკოლაა. ერთი თვის წინ “საქართველოს ბანკის” დახმარების ფონდმა დაზარალებულ რეგიონში დაასრულა სოფელ დიცის საჯარო სკოლის აღდგენა-გარემონტება და ინვენტარით აღჭურვა.

ერგნეთის საჯარო სკოლის 77 მოსწავლე, ამიერიდან, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში გააგრძელებს სწავლას.

ნიკა გვარამიამ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისადმი მიძღვნილ საგანმანათლებლო კვირეულში გამარჯვებული 20 სკოლა ლეპტოპებით და პროექტორებით დააჯილდოვა

საგანმანათლებლო კვირეულში (18-25 თებერვალი) ყველა საჯარო თუ კერძო სკოლა მონაწილეობდა. ამათგან საუკეთესო და ყველაზე აქტიური სკოლები გამოავლინასპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ლიტერატორები, ისტორიკოსები, მწერლები.

საუკეთესო სკოლებს შორის არიან: თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის, აფხაზეთის №12, ტყიბულის №6, გორის რაიონის ნაჭარმაგევის, ხაშურის №8, ხობის №1, ბოლნისის №5, ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის №1, ზუგდიდის რაიონის ინგირის №1, თერჯოლის №1 საჯარო სკოლები და სხვ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ლიტერატურული ალმანახის „1921” პრეზენტაცია, რომელშიც შესულია ლიტერატურულ აქციაში მონაწილე მოსწავლეების მიერ ოკუპაციის თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები.

ლიტერატურულ აქციაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული IX-XII კლასების 50 მოსწავლე მონაწილეობდა. მათ გალერეა „უნივერსში” საკუთარ ნაწარმოებები თავად წაიკითხეს.

ლიტერატურული აქციის თანაორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ხელოვნება”. ალმანახი ყველა სკოლაში უფასოდ გავრცელდება. მასში გამოყენებულია ფოტოხელოვან გოგა ჩანადირის ორდღიანი ლიტერატურული აქციის მიმდინარეობის ამსახველი ფოტოები.

წელს, წითელი არმიის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციის ფაქტთან დაკავშირებით, მრავალი სასკოლო ღონისძიება გაიმართა: გამოფენები, დისკუსიები, ლიტერატურული აქციები, ასფალტზე ხატვა, მასობრივი მსვლელობები, მხატვრული შემოქმედების საღამოები, მინი-სპექტაკლები, ღია გაკვეთილები და სხვ. სკოლებში მოეწყო შემაჯამებელი სასკოლო პრეზენტაციები.

სპორტი

პატარებმა იჩქარეს

16-წლამდე კალათბურთელებმა რეგულარული პირველობა დაამთავრეს და ფლეი ოფში გასული ოთხეული გამოავლინეს. მედლებისთვის ბრძოლის უფლება „ქუთაისმა“, „მართვე-3“ და „მართვე-4“ ადრევე მოიპოვეს, ორშაბათს კი ეს კვარტეტი 51-ე ექსპერიმენტული სკოლის გუნდმა შეავსო. ისინი უპრინციპულეს მატჩში უშუალო კონკურენტ „მართვე-1“ ხვდებოდნენ და ცოტა უკეთეს სასტარტო მდგომარეობაშიც იყვნენ, ვინაიდან მეტოქე პირველ წრეში 8 ქულით დაამარცხეს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგების შემთხვევაში მართველები ქულებით უთანაბრდებოდნენ სკოლელებს, მაგრამ ცხრილში გადასასწრებლად აუცილებლად 8 ქულაზე დიდი სხვაობით უნდა დაემარცხებინათ ისინი. თუმცა ლიკა ქაჯაიას გაწვრთნილმა სკოლამ ეს ვარაუდები გააქარწყლა და მეტოქე ამჯერადაც დაამარცხა - 78:66. თუმცა ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდათ და საწადელს მხოლოდ ბოლო მეოთხედში მიაღწია ალექსანდრე მეგენეიშვილის (22 ქ) და ოთარ ფხაკაძისა (21 ქ, 10 მ) კარგი თამაშით.

ამავე ჩემპიონატში ბოლო ტურში აღსანიშნავი კიდევ ის მოხდა, რომ ლიდერმა „მართვე-3“ დიდი ანგარიშით დაამარცხა აუტსაიდერი „აფხაზეთი“, რომელმაც ჩემპიონატი მოუგებლად დაასრულა - 103:44. თუმცა ამხელა სხვაობასა და „აფხაზეთის“ უქულოდ დარჩენაზე მეტად ეს ამბავი იმითაა აღსანიშნავი, რომ ამ მოგებით მართველებმა პირველობა გაინაღდეს. ნახევარფინალში ისინი 51-ე სკოლელებს შეხვდებიან, ქუთაისელები კი „მართვე-4“ გაეჯიბრებიან. ნახევარფინალები ნააღდგომევს - 21 აპრილიდან განახლდება და 2 მოგებამდე გაგრძელდება.

მიმდინარე კვირა ძალიან დაძაბული გამოდგა 18-წლიანთა ჩემპიონატში, სადაც რეგულარული ჯერ არ დამთავრებულა, სამაგიეროდ, ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. ბოლო ტურამდე ასეთი ორი იყო ცნობილი - „აკადემია“ და „დინამო“, ახლა კი მათ „ენერჯი“ და „რუსთავიც“ შეემატნენ. ამ უფლების მოსაპოვებლად „ენერჯიმ“ ორშაბათს ფლეი ოფის კიდევ ერთი მაძიებელი - I ექსპერიმენტული სკოლის გუნდი 95:56 გაანადგურა, მეორე დღეს კი რუსთაველებმა 93-წლიანთა ნაკრები 84:73 დაამარცხა.

ახლა სატურნირო ცხრილში ისეთი მდგომარეობაა, რომ „ენერჯი“ სულაც მეხუთეა, მაგრამ მარაგში 3 თამაში რჩება. ნიკო ჩერქეზიშვილის შეგირდებმა სამივე რომც წაგონ, მაინც გადაუსწრებენ მეოთხეზე მყოფ „მართვე-2“ და თანაბარქულიან 1 ექსპერიმენტულ სკოლასა „მართვე-1“-საც. ცხადია, დარჩენილ მატჩებში „ენერჯი“ მოგებებს და რეგულარულში რაც შეიძლება მოწინავე ადგილზე გასვლას ეცდება, რათა ნახევარფინალში შედარებით სუსტი მეტოქე შეხვდეს. არადა, მარაგში დარჩენილი სამი თამაში მას რეგულარულის მოგების შანსსაც კი აძლევს.

ამ ასაკში გასარკვევი სწორედ რეგულარულში გამარჯვებულის ვინაობაა, რისი მეტ-ნაკლები შანსიც ოთხივე გუნდს გააჩნია. ცხადია, ჯერჯერობით უკეთეს მდგომარეობაში „აკადემია“ და „დინამო“ არიან, მაგრამ ამ შანსებს გამოყენება რომ უნდა, ეს სამშაბათს „დინამოს“ „მართვე-2“-თან წაგებამაც დაადასტურა. მართველებს ფლეი ოფის მხოლოდ თეორიული შანსები რჩებოდათ და დინამოელებს ყველა შეხვედრის ფავორიტად მიიჩნევდა, მაგრამ მოულოდნელად მართველებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს - 112:105 და ჩემპიონატში კარი გაიჯახუნეს. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში კახა სენგელიას განკარგულებაში მხოლოდ ექვსი კალათბურთელი იყო და იმათგანაც ერთი პირველივე ტაიმში გავარდა ხუთი პერსონალურის გამო. სამაგიეროდ, გიორგი გლოველმა (39), ბექა ჭიჭვეიშვილმა (25), გიორგი ბაშარულმა (18), ლუკა მინაშვილმა (17) და აკაკი ლომოურმა (13) სასწაული მოახდინეს.

რეგულარული ჯერ არ დამთავრებულა 20-წლიანთა შორის, თუმცა ნახევარფინალში გამსვლელი ოთხეული უკვე გამოვლინდა. აქ სულ 6 გუნდი გამოდიოდა და იმათგანაც ერთი ზედმეტი - ჯერაც მოუგებელი „ქუთაისი“ ადრევე გამოვლინდა. ბოლო ტურებში მას „სამედიცინოც“ დაემატა, რომელმაც ერთი კვირის წინ უპრინციპულესი შეხვედრა წაგო „მაკაბისთან“ და ფლეი ოფის საგზურიც, პრაქტიკულად, მაშინ დაკარგა. ამდენად, ნახევარფინალში გავიდნენ „რუსთავი“, „აკადემია“, მაკაბი“ და „მართვე“. ერთადერთი, „სამედიცინოს“ „მაკაბიზე“ გადასწრების თეორიული შანსი რჩება, მაგრამ, პრაქტიკულად, ეს გამორიცხულია. ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობით, შეიძლება ისე მოხდეს, „სამედიცინომ“, „მართვემ“ და „მაკაბიმ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვოს, მაგრამ „სამედიცინო“ პირად შეხვედრებშიუ ნაჩვენები უარყოფითი ბალანსით ორივე კონკურენტს ჩამორჩება.

რეგულარულის დამთავრებამდე რამდენიმე გამოტოვებული თამაში კიდევ დარჩა და მათ დასრულებამდე ვერ ვიტყვით, გუნდები როგორ დაწყვილდებიან, მაგრამ რუსთაველებს პირველობას ვერავინ შეეცილება - მათ ეს დიდი ხნის წინ გაინაღდეს.

სამბისტები ლიტვაში გაფრინდნენ

ოთხშაბათ დილით ჭაბუკი და ახალგაზრდა სამბისტები ლიტვაში გაემგზავრბნენ, სადაც ქალაქ შიაულიაიში ევროპის პიორველობებში იჭიდავებენ. მიზეზთა გამო, ლიტვაში ორივე ნაკრები კაცნაკლული წავიდა - ახალგაზრდებში მონაწილე 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში არ გვეყოლება, ჭაბუკებში - 65-ში. ახალგაზრდებში საქართველოს ღირსებას გიორგი გეჯაძე (48), ვაჟა ლატარია (52), ბექა ბუცხრიკიძე (57), ზვიად ოდოშაშვილი (62), ლევან ნახუცრიშვილი (68), ნოდარ კუნდუხაშვილი (82), გიორგი გურული (90), გიორგი ბოლოთაშვილი (100) და დავით ბოჭორიშვილი (+100) დაიცავენ, ჭაბუკებში - გივი ნადირაშვილი (48), გენადი ჩირგაძე (52), თორნიკე თარაშვილი (56), გიორგი ვარძელაშვილი (60), ზვიად კაპანაძე (70), ვარლამ ნიჟარაძე (75), იაგო მესტვირიშვილი (81), არჩილ შინჯიკაშვილი (87), მიხეილ ნარიმანიძე (+87).

ოქსანა კალაშნიკოვას მორიგი ფინალი

ოქსანა კალაშნიკოვამ წარმატებით ითამაშა რუსულ ხანტი-მანსიისკში დამთავრებულ 50-იან ტურნირზე - პირად პირველობაში მერვედფინალში გავიდა, წყვილებში კი ბევრად უფრო შორს წავიდა და რუს ვალერია სავინიხთან შეამხანაგებულმა ფინალში გააღწია, სადაც ბელარუს-უკრაინულ ინტერნაციონალურ დუეტთან 2:6; 3:6 დამარცხდა.

ქუთაისელი გოგოების ტრიუმფი

ქუთაისელთა ტრიუმფით დასრულდა 10-წლამდე მოჭადრაკე გოგონათა საქართველოს ჩემპიონატი - სამივე საპრიზო ადგილი მათ დარჩათ. აქ ჩემპიონი კოეფიციენტებით გამოვლინდა, რადგან ნინო დახუნდარიძემ და თეა ჭოლაძემ 7,5-7,5 ქულა დააგროვეს. საბოლოოდ ჩემპიონობა და ამ ასაკში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც დახუნდარიძეს ერგო, ვერცხლი და ევროპირველობის საგზური - ჭოლაზეს. ევროპაზე ითამასებს კიდევ ერთი ქუთაისელი, ბრინჯაოს პრიზიორი ნინო ჯალაღონია.

ვაჟებში 8 ქულით ჩემპიონი სამტრედიელი ჯონი გოგოხია გახდა, რომელიც მსოფლიოზე ითამაშებს. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა თბილისელი ალექსანდრე ურდულაშვილი, ბრინჯაოს პრიზიორი კი კოეფიციენტებით გამოვლინდა. თბილისელმა ედუარდ ბაღდასაროვმა, მისივე თანაქალაქელმა თორნიკე იარაჯულმა და ხობელმა ამირან შონიამ 707 ქულა დააგროვეს, თუმცა მესამე ადგილი და ევროპაზე გამოსვლის უფლებაც ბაღდასაროვმა მიიღო. მასთან ერთად ევროპაზე ურდულაშვილიც ითამაშებს.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ადამიანმა, რომელიც ჯანმრთელობაზე ზრუნავს, მშვენივრად იცის, დიდი რაოდენობით ხილი რაციონში ორგანიზმის მოთხოვნილებას ვიტამინებსა და საკვებ ნივთიერებებზე სრულად უზრუნველყოფს.

მაგრამ ბევრი ჩვენგანი სათანადოდ არ აფასებს ამ თვისებებს და ვერ ხვდება, რომ ხილის მიღება ბევრად უფრო აუცილებელია, ვიდრე ბევრი, სხვა რამ,რასაც დაუზარებლად ვაკეთებთ.

ხილი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ეხმარება ფიზიკური პრობლემების ფართო დიაპაზონთან გამკლავებაში: ორგანიზმს ენერგიით ავსებს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას აუმჯობესებს და ხელს უშლის კიბოს განვითარებას. კონკრეტული მაგალითებისთვის ჩვენ რამდენიმე სახეობა ავარჩიეთ:



ვაშლი

«დღეში ერთი ვაშლი და ვერც გაიცნობ ექიმებს!» შეიცავს აქტიურ ანთებისსაწინააღმდეგი, ანტიკანცეროგენულ და ანტიალერგიულ ნივთიერებებს. გარდა ამისა ვაშლი მდიდარია ფლავონოიდებით — ძლიერი ანტიოქსიდანტები, რომლებიც თავისუფალ რადიკალებს ებრძვიან.

გრეიფრუტი

აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას, ამცირებს ინსულინის რაოდენობას და ორგანიზმს საკვებისგან მეტი ენერგიის მიღების საშუალებას აძლევს და ამით გახდომას ეხმარება. როგორც ირკვევა გრეიფრუტს უჯრედში დაზიანებული დნმ-ის აღდგენაშიც აქვს წვლილი.

მარწყვი

პირველს რიგში, აღსანიშნავია, რომ ეს მალფუჭებადი პროდუქტი გაყინვით მარგებელი თვისებების დახევარს კარგავს. მარწყვი ერთობ მდიდარია ანტიოქსიდანტებით, რომლებიც ორგანიზმის დაბერებას ეწინააღმდეგება. მარტო ვიტამინი Ყ რად ღირს, რომელიც დაავადებებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს აძლიერებს და ენერგიით ავსებს. ერთ ჭიქა მარწყვში იმდენი Ყ ვიტამინია, რომ დღიურ ნორმას 30%-ით აღემატება.

ანანასი

დახვეწილი მჟავე და თან ტკბილი გემო აქვს, როგორც იცით, რის გამოც გგონია, რომ ბევრი C ვიტამინია. თუმცა მხოლოდ ეს არ არის მისი სიმდიდრე. კალიუმი და ქსოვილები ავსებენ ენერგიითა და იცავს დაავადებებისგან. ბრომელაინი, რომელიც ანანასშია, C ვიტამინთან ერთად გაციებას არ დაუშვებს, ყელის ტკივილს დააამებს, ხველას შეამცირებს და ნახველის გათხელებასაც ეხმარება. ანანასში ბევრი მარგანეცია, რომელიც ძვლოვანი სისტემის განვითარებისთვისაა აუცილებელი.

ავოკადო

ავოკადო შეუცვლელია გულისთვის, აძლიერებს, აჯანსაღებს და დაავადებების რისკს ამცირებს. ნაყოფში ცხიმებია, რომლებიც ქოლესტერინს ამცირებენ, ბევრი კალიუმია, რომელიც სისხლის წნევას არეგულირებს, ფოლარი (3 ჯგუფის ვიტამინია) გულის გასამაგრებლად, კაროტინოიდები და ტოკოფეროლები, რომლებიც ერთად ებრძვიან სარძევე ჯირკვლისა და პროსტატის კიბოს.

ჯანსაღი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.